

თამაზ აქუბარდია

სული, სხეული და  
თავისუფლება...

(ფილოსოფიური ეტიუდები)

თბილისი

2016

**თამაზ აქუბარდია:**

**სული, სხეული და თავისუფლება...**

**გამომცემლობა „ივერიონი“.**

**თბილისი. 2016. გვ. 72.**

**რედაქტორი:**

**ედიშერ გვინეიტაძე**

**სტუ პროფესორი,**

**ისტორიის დოქტორი**

**© თამაზ აქუბარდია**

**© გამომცემლობა „ივერიონი“**

**ISBN - 978-9941-0-9127-8**

## რედაქტორისგან

**„თავისუფლება“**, როგორც უმთავრესი ფასეულობა, არა მხოლოდ ადამიანის, როგორც ბიოლოგიური არსების დამახასიათებელი თვისებაა, არამედ, ადამიანის, როგორც სოციალური არსების, და აქედან გამომდინარე, ადამიანთა საზოგადოების არსებობის უმთავრესი მიზანიც გახლავთ. ავტორი ამ უმნიშვნელოვანეს სოციალურ კატეგორიას გარკვეულწილად ფილოსოფიურ ქრილში განიხილავს, თუმცა იგი არ იფარგლება მხოლოდ წმინდა ფილოსოფიური კატეგორიით.

ნაშრომი შედგება ოთხი, – როგორც ავტორი მიუთითებს – **„ფილოსოფიური ეტიუდისგან“**, სადაც სიტყვა „ეტიუდი“- კრიტიკული ხასიათის მცირე ნაწარმოების შინაარსის მატარებელია.

**პირველ ეტიუდში**, რომლის სათაურია, – **„სულისა და სხეულის მიმართება“**, **„თავისუფლება“**, როგორც იდეა, წარმოგვიდგება, როგორც **„სულისა“** და **„სხეულის“** დაპირისპირების მიზეზი. ამდენად იგი განიხილება, როგორც ფილოსოფიური კატეგორია და უფლის მიერ ადამიანის, როგორც მისი შემოქმედების გვირგვინის გადარჩენის მესიანური მიზანი.

**მეორე ეტიუდში**, რომლის სათაურია, – **„თავისუფლების ნებაყოფლობითი შეზღუდვის მიზეზები“**, **„თავისუფლების“** ცნება განიხილულია

სოციალური კუთხით, – როგორც ადამიანთა საზოგადოების ერთად თანაცხოვრებისთვის აუცილებელი, თავისუფლების ნებაყოფლობითი შეზღუდვის მიზეზი.

**მესამე ეტიუდში**, რომლის სათაურია, – **„პარალელური განზომილება“**, – „თავისუფლების“ ცნება განხილულია **„აუცილებლობისა“** და **„შემთხვევითობის“** ცნებებთან მიმართებაში და ნაჩვენებია მისი გავლენა პიროვნების არა მხოლოდ ამ ქვეყნიურ ცხოვრებაზე, არამედ მისი არსებობის შესაძლებლობაზე პარალელურ სამყაროთა უსასრულო რაოდენობაში.

**მეოთხე ეტიუდში**, რომლის სათაურია, – **„ეკონომიკური თავისუფლება“**, **„თავისუფლების“** ცნება განხილულია ისტორიულ-ეკონომიკურ ჭრილში და ნაჩვენებია ადამიანის ერთ-ერთი ძირითადი უფლების – ეკონომიკური თავისუფლების პერმანენტული შეზღუდვის მიზეზები და მათი დაძლევის გზები.

განსახილველ საკითხთა მთელი სერიოზულობის მიუხედავად, ნაშრომი, ნებისმიერი, მეტ-ნაკლებად გათვითცნობიერებული, მკითხველისთვის გასაგები ენითაა დაწერილი და შეიძლება ითქვას, – ერთი ამოსუნთქვით იკითხება.

ნაშრომი ასევე სასარგებლო იქნება აღნიშნული საკითხებით დაინტერესებული მკითხველისთვის.

## შესავალი

წინამდებარე ბროშურა ფილოსოფიური ეტიუდების სახით მიეწოდება მკითხველს. უმთავრესი საკითხი, რომლებიც აქ განიხილება, სიყვარულის შემდეგ, ადამიანისთვის ყველაზე სანუკვარ გრძნობას – **თავისუფლებას** ეხება და, თუმცა თავად სიყვარულიც თავისუფლების ნებაყოფლობითი შეზღუდვის უკიდურესი მაგალითია (საზოგადოდ აუხსნელი, ნებაყოფლობითი მონობის გაუგებარ მაგალითს წარმოადგენს), თავისუფლების ცნება თავისი არსით უდიადესი გრძნობაა, რომელიც კაცთა მოდგმას, სულის უსპეტაკეს და უნაზეს ფენებში გენეტიკურად აქვს ჩადებული! ეს არის იდეა, რომელსაც უამრავი ადამიანის სიცოცხლე შეენირა და ალბათ, კიდევ ძალიან ბევრი შეენირება, მაგრამ ამით მისადმი სწრაფვა არ შემცირდება, – იგი მარადიულ გრძნობად დარჩება ჟამთასვლის დაუსრულებელ ქროლვაში.

**პირველი ეტიუდი**, რომლის სათაურია **„სულისა და სხეულის მიმართება“**, არსთა განმგებლის მიერ თითოეულ ჩვენთაგანზე იმანენტურად ჩადებული გრძნობაა და ამდენად, ადამიანის დანიშნულებაც, – თავისუფლებისკენ ლტოლვა, – მისი განსაკუთრებული ფორმით, – სულის განთავისუფლებით სხეულის მარწუ-

ხებიდან. რაოდენ დიდი უსამართლობაა, – საკმარისია თავის ტვინს ოდნავ მოაკლდეს ჟანგბადი, ოდნავ გაიზარდოს წნევა და ჩვენი სული სრულიად უსუსურია რამე გააკეთოს, როგორღაც თავი დაიცვას და, ის წამიერი სიცოცხლე, რომელიც ჟამთა მარადისობასთან შედარებით, ერთი თვალის გაფახულებაა მხოლოდ, – არარაობად გადაიქცევის. კაცთა მოდგმის დანიშნულება სწორედ ისაა, რომ სულს საშუალება მიეცეს სხეულის გარეშე იარსებოს, რაზედაც საუბარია კიდევ პირველ ეტიუდში.

მეორე ეტიუდში, რომლის სათაურია **„თავისუფლების ნებაყოფლობითი შეზღუდვის მიზეზები“**, ნაჩვენებია, რომ ადამიანთა საზოგადოების ჩამოყალიბებისთვის აუცილებელია მისი თითოეული წევრის მხრიდან დათმობილ იქნეს მისი პირადი თავისუფლების გარკვეული ნაწილი და მოხდეს, ამ შეგნებულად დათმობილი თავისუფლების ნაწილის, დელეგირება საზოგადოებისადმი. ეს არის გარკვეული საზღაური ადამიანთა მშვიდობიანი და დემოკრატიულ ფასეულობებზე დაფუძნებული საზოგადოების დამკვიდრებისთვის.

მესამე ეტიუდში, რომლის სათაურია **„პარალელური განზომილება“**, საუბარია **„აუცილებლობისა“** და **„შემთხვევითობის“** ფილოსოფიური კატეგორიების რაობაზე და, აქედან გამომდინ-

ნარე, ბედისწერის როლსა და მნიშვნელობაზე ადამიანის არსებობასთან მიმართებაში. ანუ, შეუძლია თუ არა ადამიანს ჩაერიოს ჟამთას-ვლის მიმდინარეობაში და მასზე გარკვეული ზეგავლენა მოახდინოს, თუ ყველაფერი წინა-სწარ ბედისწერის მიერაა გადანყვეტილი.

მეოთხე ეტიუდში, რომლის სათაურია **„ეკონომიკური თავისუფლება“**, საუბარია ადამიანის უზენაესი უფლებებიდან, – **სიცოცხლის უფლება, თავისუფლება და საკუთრების უფლება**, – ერთ-ერთის, კერძოდ, **ეკონომიკური თავისუფლების** რაობაზე და იმ ღონისძიებების გატარების აუცილებლობაზე, რაც უზრუნველყოფს, ყველაზე დაუცველი და ამავე დროს, ძალზე მნიშვნელოვანი უფლების, – ეკონომიკური თავისუფლების, მეტ-ნაკლებად მისაღები დონის მიღწევას, რომელიც არსებობს არა მხოლოდ ცალკეულ ინდივიდებს შორის, არამედ ადამიანთა ჯგუფებს, პოლიტიკურ გაერთიანებებს, იურიდიულ და ფიზიკურ პირებს და, საერთოდ სახელმწიფოთა შორის ურთიერთობებისას, რომელსაც როგორც წესი, იყენებენ თავიანთი გავლენის მოსაპოვებლად, ერთი სუბიექტის მიერ მეორე სუბიექტის სრული დამორჩილების ჩათვლით.

## „სულისა“ და „სხეულის“ მიმართება

ის, რომ სული სხეულს ვედარ იტევს  
და ზეცაში გასვლას ლამობს,  
ჩემს სულს მარადისობის  
არსებობის იმედით აღავსებს.

უცნობი ავტორი

აღბათ თქვენც ხშირად დაგისვამთ კითხვა საკუთარი თავისთვის, – ვინ არის ის „მე“, რომელსაც მე ამ წუთას ველაპარაკები?

ის „მე“ სხვა „მე“-ა, რომელიც იმ ხორციელ სხეულთან ერთად, რომელიც იმ სხვა „მე“-სთან ერთად, ერთ მთლიანს ქმნის და, რომელსაც **პიროვნება** ეწოდება (ამიტომაც, უფრო მეტი, ვიდრე ინდივიდი), თუ ის „მე“-ც „მე“ ვარ და ეს ორივე „მე“, რომელიც თავისი ფორმით არამატერიალური სუბსტანციაა, გეომეტრიულად თავის ტვინშია მოთავსებული და, შეუძლია ის მატერიალური სუბსტანცია „განაგოს“, რომელსაც სხეული ეწოდება და მას გარს შემოწყობია?

ტერმინოლოგიური (და როგორც ქვემოთ ვნახავთ, არა მხოლოდ ტერმინოლოგიური) აღრევის თავიდან ასაცილებლად პირველ „მე“-ს ვუნოდოთ **„სული“**, ხოლო მეორე „მე“-ს **„სხეული“**.

რამდენადაც ჩემი „მე“-ს ტერიტორიული ადგილ-სამყოფელი თავის ტვინია და იქიდან



ხდება მთელს ორგანიზმში მიმდინარე პროცესების მართვა (ცხადია, ზურგის ტვინთან ერთად), ამიტომ იგი განსაკუთრებულ პირობებშია მოთავსებული, რაიმე ხასიათის დაზიანებისგან (მექანიკური ხასიათით დაწყებული და თერმულით დამთავრებული) მის დასაცავად, რისთვისაც იგი, მაგრამ არა „მე“(?), ძალიან სქელ გარსშია გახვეული და მთლიანად ცხიმით არის ამოვსებული და ამ ცხიმში „ჩამხრჩვალ“ ტვინის ფუნქციონირების შედეგი ვარ „მე“, როგორც ხორცისა და სულის ერთიანობა;

ის ინდივიდი, რომლის ადამიანთა საზოგადოებაში იდენტიფიცირება ხდება სახელით და გვარით (მამის სახელი და ეროვნება, რატომღაც (?) ამოგვიგდეს) პირადობის მოწმობაში და იმ პირადი ნომრით, რომელიც მთელი სიცოცხლე მიწებებული გვაქვს, როგორც ჩვენი იდენტობის ციფრობრივი დამლა, რომელსაც საერთო არაფერი აქვს ჩემს „მე“-სთან.

მეცნიერებისთვის დღესაც ბოლომდე ცნობილი არ არის, თუ რატომ არის ჩვენი ტვინი მთლიანად ცხიმით ამოვსებულ ამ სქელ გარსში მოთავსებული. არსებობს მოსაზრება, რომ ამის ერთ-ერთი მიზეზი ისაა, რომ ცხიმი სითბოს ძალიან ცუდი გამტარია და რამდენადაც ტვინის ნირმალურად ფუნქციონირებისთვის მუდმივი ტემპერატურული რეჟიმი აუცილებელი, სწო-

რედ ამას უზრუნველყოფს ცხიმის ეს მასა, ისევე, როგორც თავზე არსებული თმის საფარი, რომელიც ჩვენს ტვინს გადახურებისგან იცავს, საჭიროების შემთხვევაში თავის ქალის გარშემო ოფლის გამოყოფის შედეგად, აორთქლების პროცესების ხელშეწყობით, და შედეგად, – ტვინის გაგრილებით.

როგორც ჩანს, არსთა განმგებელს ყველაფერი წვრილმანებამდე აქვს გათვლილი. ერთის მხრივ, ჩემს „მე“-ს, ანუ, იმ „მე“-ს, რომელსაც საერთოდ წარმოდგენა არა აქვს, თუ რა ხდება მის „სამფლობელოში“, ანუ ტვინის მუშაობის, უფრო სწორად, მისი ფუნქციონირების არც ანატომიაში, არც ფიზიოლოგიაში, არც ბიოლოგიაში, არც იქ მიმდინარე ბიო-ქიმიურ პროცესებზე, არც ელექტრო-მაგნიტურ ველებზე, რომლის მეშვეობითაც ნერვული უჯრედებით ხდება იმპულსების გადაცემა, დიუ-ბუა რაიმონის კანონის შესაბამისად, და, მეორეს მხრივ, – თუ როგორ ხდება ორგანიზმის, როგორც ერთიანი მთლიანის ფუნქციონირება, და, მითუმეტეს, წარმოდგენა არა აქვს, იქ მიმდინარე პროცესების მექანიზმებზე.

ეს ტვინის ის ფუნქციებია, რომლის არსში ჩემი „მე“ ვერ ერკვევა, თუმცა ვერც იმას ვიტყვი, რომ, არც აინტერესებს; პირიქით, ძალიანაც აინტერესებს, მაგრამ მთელი კაცობრიობის

უჭკვიანესი ტვინების „მე“-ები, საუკუნოვანი ძალისხმევის მიუხედავად, ჯერ კიდევ ძალიან შორს არიან საბოლოო შედეგებისგან და, თუ უიმედობა არა, ერთგვარი ნიჰილიზმი მაინც უნდა გამოსჭვიოდეს იმ დასკვნებიდან, რომელიც ამ ტიტანური შრომის შედეგად მეცნიერების მიერ იქნა მიღებული.

დასკვნები კი ძალზე დამაფიქრებელია, – ან ეს „მე“, როგორც სულიერი „მე“-სგან ცალკე არსებული ხორციელი „მე“, თავისთავად, მხოლოდ და მხოლოდ ევოლუციის გზით შეიქმნა, რითაც მთელი პასუხისმგებლობა **ჩარლზ დარვინის „სახეობათა წარმოშობის“** მეცნიერულ თეორიას გადაუღოცა, ან, ისტორიულად კიდევ უფრო ადრე ცნობილი გზა, – ეს ყველაფერი ღმერთის ნება-სურვილის შედეგია.

პირველი შეხედულების მომხრეების სასარგებლოდ, მეცნიერულ დებულებებზე დაფუძნებული ერთი თეორიული კონცეფცია ამ სტრიქონების ავტორსაც გააჩნია, რომელიც, ჩემი აზრით, იმდენადვე გამორჩეულია დასკვნების სითამამით, რამდენადაც ლაკონურობით.

აი, ეს თეორიაც, რომელიც სულ ორი პოსტულატისგან შედგება და, რომლებიც ცალ-ცალკე საუკუნეების წინ იყო ცნობილი (განსაკუთრებით პირველი), მაგრამ მათი ერთიან მთლიანობაში განხილვა, მთელი პასუხისმგებლობით

უნდა ითქვას, მთლიანად თქვენი მონა-მორჩილის დამსახურებაა.

აი ეს პოსტულატებიც:

**პოსტულატი 1.** სამყაროში მიმდინარე პროცესების არეალი უსასრულოა დროსა და სივრცეში;

**პოსტულატი 2.** თუ სამყაროში მიმდინარე შესაძლო მოვლენების არეალი უსასრულოა (იხ. პოსტულატი 1.), მაშინ, ნებისმიერი ხდომილება, რომლის მოხდენის ალბათობაც არსებობს, აუცილებლად მოხდება.

აი ამ ორი პოსტულატით ( რომელთაგან პირველი სიცოცხლის არსებობის ( როგორც მატერიის ორგანიზაციის განსაკუთრებული, მაგრამ მაინც ერთ-ერთი ფორმის) , აუცილებელ პირობას წარმოადგენს, ხოლო მეორე პოსტულატი, – მისი არსებობის საკმარის პირობას), სრულიად ნათლად აიხსნება, როგორც სამყაროს არსებობის, ისე მატერიის ორგანიზაციის ისეთი განსაკუთრებული ფორმის არსებობა, როგორცაა – სიცოცხლე.

ღმერთი – უსასრულობაა, უსასრულობა დროსა და სივრცეში. ეს გარემოება შესაძლებელს ხდის ნებისმიერი ხდომილების არსებობის აუცილებლობას. ამდენად, ღმერთი ყოვლისშემძლეა, მაგრამ იგი არ ერევა მოვლენების მოხდენის თანამიმდევრობაში და, ამდენად, თითოეუ-

ლი ხდომილების მოხდენა ინდეტერმინებულია და შემთხვევითობის მდგენელს შეიცავს, ანუ, ნებისმიერი მოვლენა, რომლის მოხდენის ალბათობაც არსებობს, აუცილებლად მოხდება, მაგრამ ის, თუ სად და როდის, ეს უკვე გარემოებებზეა დამოკიდებული. ამ, ე.წ. **„მონესრიგებულ ქაოსში“** ადგილი აქვს ე.წ. **„შემთხვევით ორგანიზებულ სისტემებს“**, რომლებიც, უკვე შემთხვევითი ხდომილებების აუცილებელი ჯაჭვის ბოლოს, სრულიად დეტერმინირებულ პროცესებს აძლევენ სათავეს (ცხადია, აქაც შემთხვევითობის მდგენელი გვაქვს, მაგრამ, უკვე ისეთ ფარგლებში, რომ სისტემა მდგრადობას ინარჩუნებს), რომლებიც ცოცხალი ორგანიზმების სახეს ღებულობენ და, რომლის აპოფეოზსაც ადამიანი, ბუნების შემოქმედების გვირგვინი, წარმოადგენს.

რატომ შექმნა ღმერთმა ადამიანი. და რა არის ადამიანის დანიშნულება? ადამიანის დანიშნულება ისეთივე ამაღლებულია, როგორც თავად ადამიანი, – ქაოსში წესრიგის შეტანა, ან, გნებავთ, – არაორგანიზებულობაში ორგანიზებულობის შეტანა, მაგრამ ისეთი ორგანიზებულობის შეტანა, რომელსაც **მიზანი აქვს გაცნობიერებული**, რის შემდეგაც იგი აღარ იქნება ჩვეულებრივი ადამიანი, იგი უფრო ნიცშემაგვარ ზეკაცს გაუტოლდება.

საკმაოდ გავრცელებულ ჰიპოთეტიურ მაგალითს მოვიყვან. თეორიული შანსი იმისა, რომ მაიმუნების ჯოგმა შექსპირის ყველა სონეტი (თუ არ ვცდები 156 სონეტი, თითოეული 14 პნკარედით) დაბეჭდოს, არსებობს და ამდენად, საკმარისად დიდი დროის და მაიმუნების ჯოგის უსასრულოდ განფენილობის შემთხვევაში, ერთ მშვენიერ დღეს ეს შესაძლებელია მოხდეს (ცხადია, აქ მთავარი ხელშემშლელი ფაქტორი მათი სიცოცხლის ხანგრძლივობაა).

ზუსტად ასევე, თუ წარმოვიდგენთ წარმოუდგენელს და გავიაზრებთ პლანეტების უსასრულო რაოდენობას რაც გალაქტიკაში არსებობს და იმ ექსპერიმენტის რეალიზებისათვის საჭირო პრაქტიკულად ულიმიტო დროს (განსხვავებით ჩვენი მისაღების გამოცდებისგან, თითქოს მეხანძრეებს ამზადებდნენ და ას საკითხზე ორ საათს გამოყოფენ), რასაც ცოცხალი ორგანიზმების გაჩენისათვის საჭირო წინაპირობებს სჭირდება, ოპტიმიზმის საფუძველი ნამდვილად არსებობს.

მაგრამ, მეორეს მხრივ, ის „მე“, რომელიც ამას ყველაფერს ხედავს და აფიქსირებს და, ამავდროულად, საერთოდ წარმოდგენა არა აქვს იმ ფიზიკურ არეალზე, რომელშიაც იგი მოთავსებულია, რა პროცესები მიმდინარეობს, რას შვრება ამ დროს?

რა არის მისი დანიშნულება იმ „მე“-სგან განსხვავებით, რომელიც იმ ფიზიკო-ქიმიურ პროცესებს, რომელიც ჩვენში ხდება, მართავს და ამ დროს წარმოდგენა არა აქვს, რა და როგორ ხდება?

ალბათ, მაინც უნდა დავუშვათ, რომ თითოეულ ჩვენთაგანს ორი „მე“ გვაქვს. ერთი „მე“, რომელიც ჩვენგან დამოუკიდებლად არსებობს და წარმართავს სრულიად გაუცნობიერებლად იმ პროცესებს, რომელიც ჩვენში მიმდინარეობს და მეორე, ის „მე“, რომელმაც ეს ყველაფერი მხოლოდ აპოსტერიორულად იცის და არა აპრიორულად, თუმცა რაღაც-რაღაცეებს ინტუიციურადაც ხვდება და ცდილობს ეს ყველაფერი გაითავისოს, შეისწავლოს და ახსნას.

ჩემს „მე“-ს, ანუ იმ „მე“-ს, რომელიც მე ვარ, ანუ გაცნობიერებული „მე“ ვარ, წარმოდგენა არა აქვს, თუ რა ხდება მის სამფლობელოში, რა პროცესები მიმდინარეობს, უფრო მეტიც, საერთოდ ვერ ხვდება, ვერ აღიქვამს იქ მიმდინარე პროცესებს. ამიტომ არ მესმის, აი ის „მე“, რომელიც ამას ყველაფერს ამბობს, ხვდება და აფიქსირებს, აი ის „მე“ რას შერება ამ დროს? რისი მაქნისია, ან საერთოდ, რა საჭიროა? რა-შია მისი დანიშნულება?

სამართლიანობისთვის უნდა ითქვას, რომ თუმცა ეს „მე“ ვერ აკონტროლებს სხეულში

მიმდინარე პროცესებს, მაგრამ, მას შეუძლია სერიოზული გავლენა მოახდინოს მასზე, ზემოქმედების იმ უკიდურესი ფორმით, რომელიც სუიციდის სახით არის ცნობილი.

ეს მართლაც რომ გასაოცარი მოვლენაა, – როცა სისტემას, ორგანიზაციის ამ უმაღლეს ფორმას, შეუძლია თვითლიკვიდაცია და არაორგანიზებულ მასად გადაქცევა. რომ დაუკვირდეს ადამიანი გასაოცარი და სულისშემძვრელი თვისებაა და მაინც, უფრო გასაოცარი, – სისტემას უნარი აქვს თავისი თავი, ანუ საკუთარი „მე“ გაანადგუროს და ეს პროცესი შეუქცევადია, რაც ამ „მე“-სთვის წინასწარ არის ცნობილი. გაცობას ვერ ვმაღავ!

ცხადია, სხეულსაც შეუძლია ძალიან დიდი ზეგავლენა მოახდინოს ამ „მე“-ზე, რაც ასევე შეიძლება გახდეს მისი, ანუ სისტემის კვდომის მიზეზი, ოღონდ, პირველი შემთხვევისგან განსხვავებით, ეს გარე ფაქტორების ზემოქმედების მიზეზია და არა მიზანმიმართული ქმედება. მაგრამ ეს გავლენა სულ სხვა ხასიათისაა, ვთქვათ, ჭრილობა, ავადმყოფობა და ა.შ.

მაგრამ გაუგებარია, ამ „მეს“-ს რაში სჭირდება სხეული? სხეულს რაში სჭირდება ჩემი „მე“, უფრო სწორად, ჩემი „მე“-ს არა ის ნაწილი, რომელიც ორგანიზმის ცხოველმოქმედების პროცესებს წარმართავს და არეგულირებს, ეს გასა-



გებია, მაგრამ ჩემი „მე“-ს ის ნაწილი, რომელიც ამ პროცესებში არ მონაწილეობს?

ან ამ „მე“-ს რაში სჭირდება სხეული. რატომ უნდა იყოს ჩემი „მე“-ს ის ნაწილი, რომელიც არამატერიალური სუბსტანციაა, და რომელსაც ადამიანები „სულს“ ეძახიან, მთელი სიცოცხლე (აქ მხედველობაში ცხადია სხეულის სიცოცხლე იგულისხმება) გამომწყვდეულია ამ სხეულში?

რაში მჭირდება „მე“ სხეული? იმ „მე“-ს, რომელიც იმისთვის კი არ არის, იმ მეორე „მე“-სგან განსხვავებით, რომლის დანიშნულებაა საკვები მოიპოვოს, რათა სხეული შეინარჩუნოს, სითბო და ჭერი მოიპოვოს, რათა სიცოცხლე შეინარჩუნოს, არა ის „მე“, რომელიც აბრაჰამ მასლოუს მიერ შემუშავებულ ადამიანის მოთხოვნათა იერარქიულ თეორიულ მოდელში, პირველ ორ საფეხურს შეესაბამება, არამედ იმისთვის, რომ საკუთარი თავი შეიცნოს და, რაც ყველაზე მთავარი და არსებითია, სხეულის მარწუხებიდან განთავისუფლდეს და უსასრულობაში მარადისობას ეზიაროს!

მერე კიდევ, ის უდიდესი აქტი, რომელიც ადამიანის რეპროდუქციას ეხება. ჩემი „მე“ ამ დროს სრულიად უმართავი ხდება; ვნების გახელება ჩემს „მე“-ს სრულიად უმორჩილებს პირველყოფილ ინსტიქტებს და ჩემი ორივე „მე“, ჩემს სხეულთან ერთად, გადადის იმ უმაღლესი ნე-

ტარების მდგომარეობაში, რომელსაც მსგავსის დაბადებისათვის საჭირო აქტის განხორციელება ჰქვია.

როგორი ბრძნული ჩანაფიქრია, ამასთანავე როგორი სატყუარაა! რამ მოაფიქრებინა (ვის?), რისი ძალითაც ეს აქტი ადამიანისთვის პრაქტიკულად უმართავი გახადა და როგორ გააბრიყვა კაცთა მოდგმა, რომ ეს აქტი სიამოვნების გამოუღეველ წყაროდ აქცია, რითაც პრაქტიკულად უზრუნველყო ადამის მოდგმის შენარჩუნების, მისი ნებისგან დამოუკიდებლად მართული პროცესი.

როგორი ბრძენია ბუნება, რომ ეს აქტი უმართავი გახადა, რადგან იცოდა, რომ კაცობრიობის უდიდესი ნაწილისთვის იგი უცილობლად უმაღლესი სიამოვნების გამოუღეველ წყაროდ გადაიქცეოდა, რითაც, მართალია, ამ აქტის სიდიადე და უმთავრესი დანიშნულება, გარეგნულად, ლაფში ამოსვრილ სხეულს დაემსგავსა, მაგრამ ამით ერთხელ კიდევ მკაფიოდ გვიჩვენა, რომ **სულის სიდიადეს ხშირად სულის სიმდაბლე ახლავს თან** და, ამ დროს, როგორ არ უნდა გაგახსენდეს ნიკოლო მაკიაველის რამდენადმე ცინიკური შეგონება, – მიზანი ამართლებს საშუალებას. ბუნებაც კადრულობს ხანდახან ასეთ მაკიაველიზმს!

ზებუნებრივი საიდუმლოების ნეტარების ბუ-

რუსში ამოვლებული უდიდესი აქტი, ადამიანებმა სულიერების განუყოფელ ნაწილად აქციეს და ხორციელი სიყვარულის აპოფეოზად გადააქციეს. და, იმისდა მიუხედავად, რომ ეს უდიდესი აქტი ადამიანებმა უმოწყალოდ გასვარეს, სიბილწის სამოსელში გაახვიეს, ზნეობრივი და სულიერი გახრწნილების აპოფეოზად აქციეს, იგი მაინც უმაღლესი, უმანკო და შეუბღალავი აქტია, რომელიც ადამიანთა უდიდესმა წარმომადგენლებმა უმაღლესი ესთეტიკური კატეგორიის რანგში აიყვანეს და მას სიყვარული უწოდეს, რომლის შედეგი იმდენადვე გამაოგნებელია, რამდენადაც ამაღელვებელი, – ახალი სიცოცხლის დაბადება, – სხეულის სულზე გამარჯვების გასაოცარი და უიშვიათესი მაგალითი.

და მაინც, რაში სჭირდება „მე“-ს სხეული და პირიქით? რატომ არ შეიძლება მათი ცალ-ცალკე არსებობა? ალბათ შეიძლება, მაგრამ ეს სიცოცხლე არ იქნება, ეს იქნება უბრალოდ არსებობა.

სულის სხეულთან ერთიანობა იძლევა იმ უდიდეს ესთეტიურ სანყისს, რასაც სიყვარული ჰქვია, რასაც სილამაზე ჰქვია.

არსებობს ულამაზესი სული, რომელიც ისე შეგიყვარდება, როგორც მატერიალური, – ხელშესახები სახით და, არსებობს ულამაზესი სხეული, ზეციური სრულქმნილება, რომელიც ე.წ.

„სტენდალის სინდრომის“ მსგავს ეფექტს ახდენს, მაგრამ როდესაც სულისა და სხეულის ერთიანობა ულამაზეს ესთეტიურ კატეგორიაში გადადის, ეს უკვე ღმერთთა სადარი გრძნობაა, ეს უკვე სრულქმნილების აპოფეოზია.

რით განსხვავდება ჩემი „მე“ სხვისი „მე“-სგან? რატომ ცდილობს თითოეული ჩვენთაგანის „მე“, აქ, დედამიწაზე მოიწყოს სამოთხე, მინიერი სამოთხე, რომლის არსი ძირითადად სიამოვნების და მისი უკიდურესი ფორმის, – ნეტარების მიღებისკენ სწრაფვაა. აქ, როგორც ხორციელი სიამოვნება, ასევე სულიერი სიამოვნება იგულისხმება და ეს გახლავთ თითოეული ჩვენთაგანის „მე“-ს უმთავრესი საზრუნავი.

მაგრამ, რა არის სიამოვნება, ეს უმინშენელოვანესი ესთეტიკური კატეგორია? მართალია, **ოსკარ უაილდი** ამ გრძნობას, ცინიზმამდე მისული უბრალოებით განმარტავდა, – **სიყვარული**, ეს არის **განცდილი სიამოვნებისთვის მადლობის გრძნობა**, სადაც, არაპირდაპირ, სიამოვნება სიყვარულთან არის გაიგივებული, ხოლო ბუნება ამ ეს გრძნობა, – სიამოვნება, როგორც გამრავლების აქტისას მიღებული ნეტარება, ადამიანისგან უმართავი გახადა, მაგრამ გაუგებარია აქ „მე“-ს არსებობის აუცილებლობა.

ვირუსები, ბაქტერიები (შესაძლოა მცენარეებიც(!)), ამ „მე“-ს გარეშეც მშვენივრად არ-

სებობენ და უფრო მეტიც, პრაქტიკულად ქვეყნიერებას განაგებენ იმ გაგებით, რომ ყოველწლიურად, მითიური ცხრათავიანი დევივით, მილიონობით ადამიანის სიცოცხლე მიაქვთ და, თან ამას ისე უჩუმრად აკეთებდნენ, რომ სულ უკანასკნელ პერიოდამდე მათი არსებობის შესახებაც კი, კაცობრიობისათვის უცნობი იყო და, დღესაც, მათი გასაოცარი მეტამორფოზა, რომელსაც მეცნიერები მუტაციას ეძახიან, ბევრ კითხვის ნიშანს ბადებს.

ამის შემდეგ ადამიანებმა მათ წინააღმდეგ საბრძოლველად ათასწლეულების მანძილზე წარმატებით აპრობირებული მეთოდი გამოიყენეს, – მათ საკუთარი მოძმენი დაუპირისპირეს, ლუი პასტერის მიერ აღმოჩენილი გენიალური მეთოდის მეოხებით, რომელსაც, როგორც ირკვევა, აფრიკელი ტომები რამოდენიმე ასეული წლის წინათაც წარმატებით იყენებდნენ, რაც, ცხადია, პასტერის აღმოჩენის მნიშვნელობას ოდნავადაც არ ამცირებს.

აქაც ხომ არ არის კარგად გააზრებული ფარული ზრახვა არსთაგანმგებლისაგან ჩადებული, – ამით უზრუნველყოს კაცთა მოდგმის არსებობა იმ უმთავრესი მიზნის მისაღწევად, რასაც სულის სხეულისგან გამოყოფის შესაძლებლობას ისახავს მიზნად.

ამ მიზნის მისაღწევად, კაცთა მოდგმის სა-

უკეთესო ტვინები, ჯერ სხეულის უკვდავების რეალიზაციაზე მუშაობენ. თეორიულად, ეს ამოცანა გადაჭრადია. საქმე იმაშია, რომ თითოეული უჯრედი სიცოცხლის მანძილზე 25-ჯერ ახდენს გაყოფას. მეცნიერები უკვე ძალიან ახლოს არიან იმასთან, რომ უჯრედმა შეძლოს 50-ჯერ გაყოფა, რაც ავტომატურად ნიშნავს სიცოცხლის ორჯერ გახანგრძლივებას. თუ ეს პრობლემა გადაწყდა, იგივე მეთოდით (ან, გნებავთ, რაიმე სხვა გზით) შესაძლებელი იქნება მისი კიდევ ორჯერ გაზრდა, და ა.შ.

ამგვარად, შესაძლებელია სიცოცხლის ხანგრძლივობის პრაქტიკულად ნებისმიერ სასრულო სიდიდემდე გაზრდა. გარდა ამისა, ორგანიზმის დაბერების მექანიზმიც ახსნილია. საქმე იმაშია, რომ დნმ (დეზოქსირიბო ნუკლეინის მჟავა) ყოველი ახალი უჯრედის ასლის „გადაღებისას“ ცოტათი უფრო მოკლეა, ვიდრე წინა, რაც, საბოლოოდ, ორგანიზმის დაბერებას იწვევს.

ამ მექანიზმის ამოხსნის შემდეგ საჭიროა ტექნიკური ამოცანის გადაჭრა, რომ ამინომჟავების (ამ ჩვენი სხეულის სამშენებლო მასალის ძირითადი ელემენტის) მწკრივის ყოველი მოლეკულის „ასლი“ იგივე სიდიდის იყოს, რას სიდიდისაც მატრიცაა და, ამის შემდეგ, სიჭაბუკის მარადიულობის საკითხიც გადაჭრილი იქნება.

ღრმად მნამს, რომ ეს მიზანი, ადამიანის ხელით გაკეთებული საბოლოო მიზნის ის ნაწილია, რომელსაც არსთაგანმგებელი ჩვენი „მე“-ს დახმარებით აკეთებს. თუმცა, ვეჭვობ, რომ საბოლოო მიზანი უფრო გრანდიოზულია, უფრო ამაღლებულია, – „სულმა“ უნდა დატოვოს „სხეული“ „სულმა“ უნდა გაანგრიოს ის საპყრობილე, რომელსაც „სხეული“ ჰქვია. ეს არის საბოლოო მიზანი, აქეთ მივყევართ არსთა განმგებელს.

მაგრამ რატომ და როგორ უნდა მოხდეს ეს ყველაფერი? კიდევ ერთი კითხვა, რომელიც პასუხგაუცემელია. „მე“ არის არსება და შეიძლება დაისვას მასთან მიმართებაში კითხვა, – ვინ?, თუ იგი მაინც სუბსტანციაა, ერთგვარი კომპიუტერი, რომელშიც უსულო პროგრამაა ჩანერილი და ამ პროგრამის ფარგლებში მოქმედებს?

„მე“, ეს სხეულში გამომწყვდეული უკვდავებაა, რომლის ფერმკრთალი ანალოგია ჯეკ ლონდონის ნაკლებად ცნობილი რომანის „პლანეტათაშორის მოხეტიალის“ მთავარი გმირია, რომელსაც შეუძლია, თავის ხილვებში, სხეული დატოვოს და იფრინოს პლანეტებს შორის, მაშინ როდესაც იგი თავის სხეულთან ერთად პატიმრობაში იმყოფება.

კიდევ ერთი რიტორიკული კითხვა, – „მე“-ს შეუძლია თუ არა დატოვოს ერთი სხეული და

გადავიდეს სხვა სხეულში, ანუ რეინკარნაციის შესაძლებლობა გააჩნია თუ არა? თუ, ის „მე“ მხოლოდ თავის სხეულზეა მიბმული და მის გარეშე არსებობა არ შეუძლია?

თუ ეს შესაძლებელია, ანუ ერთი სხეულიდან მეორეში „მე“-ს გადასვლა, მაშინ ის ნეირონული კავშირები, რაც ერთი ადამიანის ტვინშია, თავისი უნიკალური ინდივიდუალობით, შესაძლებელია გადმოვწეროთ დისკზე, რომელსაც უზარმაზარი, ტერაბაიტების ტოლი მეხსიერება გააჩნია და გადავწეროთ მეორე ადამიანის ტვინში, რომელიშიც წინასწარ იქნება ყველაფერი ნაშლილი და რა მოხდება? ჩემი „მე“ გადასახლდა სხვა სხეულში? თუ ეს ასეა, მაშინ „სულის უკვდავება“ ცარიელი სიტყვები არ ყოფილა.

მაგრამ ხომ შეიძლება ამ დისკზე ჩანერილი ჩემი „მე“ სხვა სხეულის ტვინში კი არ გადავწერო, არამედ შინაარსით მატერიალური, მაგრამ ფორმით უჩინარი სახე მივცე, თუნდაც ელემენტარული ნაწილაკის,- ატომის,- დონემდე დაყვანილი, ჩანერილი ინფორმაცია და უმცირესი ენერჯის ნყალობით, რომელიც კოსმოსში ელექტრო-მაგნიტური რხევების სახით თავზე-საყრელად არსებობს, თავისი ორგანიზაციული ფორმის შენარჩუნების საშუალება მიეცეს და, საჭიროების შემთხვევაში თავად მოახდინოს იმ სხეულის რეგენერაცია, რომელიც მას, ამა



თუ იმ მიზნის მისაღწევად დასჭირდება, და, ეს ფორმა სულაც არ არის საჭირო, მაინცდამაინც ადამიანური ფორმის იყოს.

შემდეგ, როდესაც ამ სხეულის საჭიროება აღარ იქნება, ისევ დატოვოს სხეული და თავისი ორგანიზაციული სული, ანუ „მე“ იქეთ მიმართოს საითაც დასჭირდება. ასე გადაიქცევა ადამიანი ზეკაცად, ანუ იმად, რასაც ზარატუსტრა ამბობდა! როგორც ჩანს, არსთა განმგებლის საბოლოო მიზანს ადამიანის, როგორც მისი შემოქმედების გვირგვინის, შენარჩუნება წარმოადგენს. ამისათვის მან ჩემს „მე“-ს უნდა მისცეს მისი „სულის“ „სხეულისგან“ გამოყოფის შესაძლებლობა, რაც მეცნიერულად დასაბუთებული და ტექნიკურად მიღწევადია.

ამით ადამიანს შესაძლებლობა ექმნება დატოვოს დედამიწა და სხვა პლანეტებზე გავიდეს და იქ მისცეს დასაბამი ახალ ცხოვრებას. ეს არის შანსი კაცთა მოდგმის გადარჩენისა, რომელიც ღმერთმა, ჩვენდამი განსაკუთრებული დამოკიდებულების გამო მოგვცა.

## თავისუფლების ნებაყოფლობითი შეზღუდვის მიზეზები

ორი რამ აღავსებს სულსა და  
გულს სულ ახალი და მზარდი  
საოცრებით. ... ვარსკვლავებით  
მოჭედული ცა ჩემს ზევით და  
მორალური კანონი ჩემში.

ივანე პანტი

თავისუფლების, როგორც ცნების, ნებისმიერი განმარტება ფილოსოფიური შინაარსის მატარებელია, რომელთაგან ერთ-ერთი მათგანი იმდენადვე კომპაქტურია, რამდენადაც სრული, – თავისუფლება – ეს არის შეცნობილი აუცილებლობა.

ასეთი განმარტების მთელი პარადოქსულობის მიუხედავად, მასში ჭეშმარიტების რაციონალური მარცვალი ძევს და იმას გულისხმობს, რომ თავისუფლება არ ნიშნავს ყველაფერში და ყველას მიმართ ისე მოქცევას, როგორც შენ მოგეხასიათება. ადამიანის თავისუფლება იქ თავდება, სადაც სხვა ადამიანის თავისუფლების შეზღუდვა იწყება მისი ნების საწინააღმდეგოდ.

ეს ერთგვარი ინტერპრეტაციაა ე.წ. „პარეტოს კრიტიერიუმისა“, რომელიც ეკონომიკის სფერო-

ში გამოიყენება და, რადგანაც შეუძლებელია ადამიანთა საზოგადოებრივი თანაცხოვრების ისეთი თეორიული მოდელის შექმნაც კი, რომ ადამიანთა საზოგადოებრივი ურთიერთობისას, ერთი ადამიანის თავისუფლება არ იწვევდეს მეორე ადამიანის თავისუფლების შეზღუდვას, ამიტომ ადამიანები იძულებულები გახდნენ, ადამიანთა საზოგადოების ჩამოყალიბებისთვის თავიანთი უფლებების, ანუ თავისუფლების გარკვეული ნაწილის, დელეგირება მოეხდინათ და ეცხოვრათ იმ შეზღუდვების პირობებში, რასაც მათი ერთობლივი თანაცხოვრების აუცილებლობა მოითხოვს.

ამ საკითხებზე დიდებული ნაშრომი აქვს ფრანგული განმანათლებლების უბრწყინვალეს წარმომადგენელს **ჟან-ჟაკ რუსოს**, რომლის ნაკითხვაც ერთ რამედ ღირს და რომლის სათაურია **„საზოგადოებრივი ხელშეკრულება“**.

საკითხის არსს არ ცვლის ის ფაქტი, რომ ამ უფლებების დელეგირების სიდიდე, ქვეყნიდან ქვეყანამდე და საუკუნიდან საუკუნემდე, იცვლებოდა, იცვლება და მომავალშიც არა ერთხელ შეიცვლება. აქ მთავარი ის არის, რომ, როდესაც ადამიანი ამ თავისი უფლებების, ანუ თავისი პერსონალური თავისუფლების შეზღუდვის აუცილებლობას ხედავს და ნებაყოფლობით, ამ თავისი უფლებების დელეგირებას ახდენს, რათა

მოხდეს ადამიანთა საზოგადოების დემოკრატიული პრინციპების საფუძველზე ფორმირება, ე.ი. მას შეცნობილი აქვს ამის აუცილებლობა და შედეგად, იგი არის თავისუფალი.

როდესაც ადამიანს, მისი ნების საწინააღმდეგოდ, უზღუდავენ, საზოგადოების მიერ დადგენილი შეზღუდვების საყოველთაოდ მიღებულ ნორმებზე მეტად, უფლებებს, მაშინ გვაქვს თავისუფლების შეზღუდვა, რომლის უკიდურეს გამოვლინებასაც წარმოადგენს მონობა.

ამის მერე, თითქოსდა ძნელი არ უნდა იყოს იმის განმარტება, თუ რას უნდა ნიშნავდეს სიტყვათა თანაწყობა, – **„ნებაყოფლობითი მონობა“** და რატომ უნდა იყოს თანახმა პიროვნება (ცხადია, მისი ყველაზე არა ამაღლებული გაგებით) დათანხმდეს, ადამიანის ღირსების შემლახავ ასეთ მდგომარეობაზე.

როგორც ქვემოთ ვნახავთ, ადამიანთა საკმაოდ დიდი ნაწილი, სულიერ თავისუფლებას თმობს ხორციელი თავისუფლების საზღაურად და, თუ მის უკიდურეს შემთხვევებს ავიღებთ, ერთი ნაწილი ამას იმიტომ აკეთებს, რომ ფიზიკური არსებობა შეინარჩუნოს, ხოლო მეორენი, ამას იმსათვის აკეთებენ, რომ ხორციელი ნეტარებით იცხოვრონ.

და ამ ყველაფრის მიზეზი ის გახლავთ, რომ ჯერ ერთი, თითოეულ ჩვენთაგანში იმანენტუ-

რად ჩადებულია ნაკლების გაცემით მეტის მიღების საკრალური სურვილი, მეორეც, საზოგადოებამ ჯერ კიდევ ვერ მიაღწია ეკონომიკური განვითარების ისეთ სიმაღლეს, რომ ადამიანმა იცხოვროს ღირსეულად, ამ სიტყვის, როგორც სოციალური, ისე ეკონომიკური გაგებით.

საქმე იმაშია, რომ, როგორც ჩანს, კაპიტალიზმი საშუალებას იძლევა, უკეთეს შემთხვევაში, 20 პროცენტის საამური ცხოვრება უზრუნველყოს, ოღონდ, – დანარჩენი 80 პროცენტის ხარჯზე და, ესეც, ვიმეორებ, – უკეთეს შემთხვევაში.

ამას თვალნათლივ, შემოსავლების განაწილების ე.წ. „ლორენცის მრუდი“ გვიჩვენებს, ხოლო რაოდენობრივად, ე.წ. „ჯინის კოეფიციენტი“. ამდენად, 80 პროცენტი იძულებულია რაღაც სხვა გზებით და საშუალებებით იფიქროს საკუთარ ეკონომიკურ კეთილდღეობაზე, რაც მათ, ზემოთ მითითებული, ე.წ. „ნებაყოფლობითი მონობის“ მდგომარეობის მიღებისკენ უბიძგებს.

კაპიტალიზმის მთელი მიმზიდველობა იმაშია, რომ ნებისმიერს აქვს შანსი არა თუ იმ ბედნიერ 20 პროცენტში მოხვდეს, არამედ იმ 0,0000001 პროცენტშიც, რომლებიც კაცობრიობის მომავალს განსაზღვრავენ. ამისთვის კი ერთ-ერთი ლეგიტიმური და, ამასთან რეალური გზა, – განათლების მიღებაა. სწორედ ამიტომ ისწრაფვის ადამიანთა მოდგმის უდიდესი

ნაწილი „ცოდნის“ მისაღებად? და მზად არის ამისთვის არ დაიშუროს არც დრო, არც ენერჯია და არც ფული? უფრო სწორი იქნება თუ ვიტყვით, განათლების დამადასტურებელი ოფიციალური დოკუმენტის მისაღებად, რაც ცხადია ერთი და იგივე არ არის, ყოველ შემთხვევაში, არც თუ იშვიათად.

უპირველეს ყოვლისა, უნდა განვასხვავოთ ერთმანეთისგან **„ახალი ცოდნა“** და საზოგადოების მიერ უკვე **„დაგროვილი ცოდნა“**.

პირველი სახის ცოდნა, ანუ **„ახალი ცოდნა“** ეს მეცნიერების საქმეა, მას არაორდინალური გონებრივი შესაძლებლობები სჭირდება და ასეთი ადამიანების წილი მთლიან მასაში, უკეთეს შემთხვევაში, 5-7 პროცენტი თუ იქნება. სტატისტიკურ მონაცემებს მეცნიერებაში დასაქმებულთა რაოდენობის შესახებ ნამდვილად ვერ ვენდობით, რამდენადაც ნამდვილი მეცნიერი, გარდა, ცხადია ექსპერიმენტატორებისა, ის კი არ არის, ვინც დილიდან საღამომდე სამეცნიერო დანესებულებაშია.

რაც შეეხება უკვე **„დაგროვილი ცოდნის“** ათვისების მსურველებს, არც ეს არის ადვილი და მასაც დიდი შრომა და სულიერი ძალების მნიშვნელოვანი დაძაბვა სჭირდება და, მხოლოდ ამ შემთხვევაშია შესაძლებელი, საზოგადოების, თუნდაც საშუალო ფენის, წარმომადგენელი გახდე.

სწორედ ამიტომაც მიდიან მშობლები ყველაფერზე, რათა შვილებს კარგი განათლება მისცენ, და ამასთან, რამდენადაც ეს შესაძლებელია, პრესტიჟულ სასწავლებლებში მოაწყონ და, ამ დროს იმაზეც კი მიდიან, რომ ამ სასწავლო მიზნის მისაღწევად ბავშვებს ბავშვობაც კი მოუსპონ.

თუ გამოვალთ ზემოთ აღნიშნული განმარტებიდან, მაშინ „ცოდნა,“ მის იმ ნაწილში, რომლის შესახებაც ახლა ვსაუბრობთ, – ეს არის კონცენტრირებული გამოცდილება, გნებავთ, – დაგროვილი გამოცდილება.

სიტყვა „გამოცდილება“ აქ ნიშნავს, ყველა იმ შეცდომებისგან განთავისუფლებას, რაც მეცნიერებს ცოდნის მიღების პროცესში ჰქონიათ და რის შესახებაც ახალგაზრდების უდიდესი უმრავლესობისთვის ეს შეცდომები სრულიად უცნობია. ამის ძალიან დამაფიქრებელი მაგალითია ამერიკელი მეცნიერის, **მაქს კლაინის** ერთი შესანიშნავი ნიგნი, რომელიც ახალგაზრდობაში მაქვს წაკითხული, და მათემატიკის განვითარების ისტორიას ეხება.

ამ ნიგნში ყველაზე მეტად იმან გამაოცა, რომ ერთ-ერთი უდიდესი მათემატიკოსი, რომელიც კი კაცობრიობას ჰყოლია, – **ლეონარდ ეილერი**, რომელსაც 750-მდე სამეცნიერო ნაშრომი აქვს გამოქვეყნებული მათემატიკის სხვადასხვა

სფეროში (ყველაზე მეტი), – უარყოფითი რიცხვების არსებობას არ სცნობდა. მისი მსჯელობა ამ საკითხზე იმდენადვე არგუმენტირებული იყო, რამდენადაც თავად – დიდი მეცნიერი. იგი ამბობდა, რომ „0“ რიცხვი (ამ შემთხვევაში რიცხვი, და არა ციფრი) აღნიშნავს რაოდენობას, რომელიც შეესაბამება „არაფერს“, ანუ, ეს არის სიდიდე, რომელიც რაოდენობრივად არ არსებობს და, თუ ეს ასეა, მაშინ რა არის „არარსებულზე“ უფრო მცირე?

ჩემის მხრივ დავამატებდი, რომ უარყოფითი რიცხვების შემოტანა მათემატიკაში, ტოლფასია ირეალური სამყაროს არსებობის დაფიქსირებისა ფიზიკაში, რომლის დამტკიცების მცდელობები დღეს, უფრო და უფრო დასაბუთებული, და, ამდენად, დამაჯერებელი ხდება.

ათასწლეულები და ათი ათასობით გამორჩეული გონების მქონე ადამიანების უზარმაზარი ძალისხმევა გახდა საჭირო, რათა მხოლოდ მათემატიკაში მიგველო ის დაგროვილი გამოცდილება, მაქსიმალურად განთავისუფლებული იმ შეცდომებისგან, რაც ამ პროცესში, ანუ, ამ გამოცდილების დაგროვების პროცესში, მათემატიკოსებმა გაიარეს, და, რადგანაც თითოეული ცალკე აღებული ადამიანის შესაძლებლობები, ვერც დროში და ვერც სივრცეში, უბრალოდ ფიზიკურად ვერ შეძლებს ამ ყველაფრის ხელახლა



აღმოჩენას, იგი ისრუტავს ამას ყველაფერს, სპეციალურად ამისათვის შექმნილი ისეთი უზარმაზარი ინსტიტუციონალური სისტემის მეშვეობით, რასაც განათლების სფერო ეწოდება.

ამგვარად, ცოდნა, ეს არის ადამიანთა თაობების მიერ შექმნილი და დაგროვილი გამოცდილება, კონცენტრირებული და კომპაქტურად ჩამოყალიბებული, რომლის ათვისებასაც დიდი, ძალიან დიდი ძალისხმევა სჭირდება.

**სწავლების პროცესი კი ძალიან შრომატევადი საქმეა და მას, შრომის გარდა, ნიჭიც სჭირდება, რომლის მოპოვება, სამწუხაროდ, თუ საბედნიეროდ, რაიმე ფორმით შეუძლებელია, – იგი ან გაქვს, ან არა. სწორედ ეს გახლავთ იმის მიზეზი, რომ განათლებულ ადამიანთა რაოდენობა საკმაოდ მცირეა ადამიანთა მთლიან რაოდენობასთან მიმართებაში. მაგრამ ეს არ არის მთავარი. როგორც ცნობილი ამერიკელი მწერალი ტორნტონ უაილდერი ამბობდა: განათლება, – ეს არის ხიდი, რომელიც ცალკეული ადამიანის ვიწრო სამყაროს აკავშირებს ზოგადსაკაცობრიო ცნობიერებასთან. აქედან გამომდინარე, ვინც უფრო პრესტიჟულ სასწავლებელს დაამთავრებს, მას უფრო მეტი შანსი აქვს იერარქიულ კიბეზე შედარებით მაღალი საფეხური დაიკავოს, თუმცა, ცხადია აქაც გვაქვს გამონაკლისებიც, როდესაც საეჭვო განათლების მქო-**

ნე ადამიანები საკმაოდ სოლიდურ თანამდებობებს იკავებენ. აქ უკვე სრულიად სხვა ფაქტორი თამაშობს გადამწყვეტ როლს, – ეს არის მონური მორჩილება ძალღვივით ერთგულების ფონზე.

საილუსტრაციოდ ერთ მაგალითს მოვიყვან, რისთვისაც, დიდი ფრანგი მწერლის, **სტენდალის** ნაწარმოებიდან ერთ პასაჟს გავიხსენებ.

ნაპოლეონს ჰყავდა ერთი მინისტრი, ვინმე ბასანის ჰერცოგი, რომლის სახელი და გვარი იყო, – იუგ-ბერნარ მარე (1763-1839). ისტორიის ანალებში მასზე მხოლოდ ასეთი სიტყვები შემორჩა: „საფრანგეთის პოლიტიკური მოღვაწე, ადვოკატი და პუბლიცისტი.“ როგორც სტენდალი მიუთითებს, – „თავდაპირველად იგი ნაპოლეონის მდივანი იყო, ხოლო შემდეგ საფრანგეთის იმპერიის საგარეო საქმეთა მინისტრი. იგი უზარმაზარი გავლენით სარგებლობდა მთელს საფრანგეთში და ეს, მიუხედავად იმისა, რომ მას არა თუ თავად არ გააჩნდა რაიმე დიადი ჩანაფიქრი, რომლის განხორციელებასაც შეეცდებოდა ქვეყნისა და საკუთარი სახელის სადიდებლად, არამედ არ ესმოდა და ვერ ხედავდა ასეთ რამეს სხვებში.“

თითქოსდა გაუგებარი უნდა იყოს, თუ რაში უნდა დასჭირვებოდა ასეთი სახელმწიფო მდივანი ისეთ გენიალურ პიროვნებას, როგორიც იმპერატორი იყო. ამ კითხვაზე შესანიშნავ პასუხს იძლევა თავად სტენდალი, რაშიც ჩვენ მას

აბსოლუტურად ვეთანხმებით. – „თანამდებობა, რომელიც ჰერცოგს ეჭირა, მოითხოვდა მისგან დღე და ღამე იმპერატორის გვერდით ყოფნას. ადამიანს, რომელსაც ოდნავ მაინც ღირსების გრძნობა გააჩნდა (რაც ჩვენი აზრით პირდაპირ კავშირშია გონიერებასთან – თ. ა.), ვერ გაუძლებდა იმპერატორის მუდმივად ცვალებადი ხასიათისა და მძვინვარე აფეთქებების პერმანენტულ გამოვლინებებს. ჰერცოგი კი უძლებდა, რაც ასე სჭირდებოდა ნაპოლეონს. სამაგიეროდ ჰერცოგის პატივმოყვარეობა იმით კმაყოფილდებოდა, რომ მთელი საფრანგეთის ყველა პრეფექტს იგი ნიშნავდა“. მათი რაოდენობა კი იმ დროისათვის 120-ს უტოლდებოდა.“

მონური მორჩილების უმაგალითო ნიმუშს წარმოადგენს ნაპოლეონის ერთ-ერთი უმამაცესი გენერლის სიტყვები, რომელიც მთელი სერიოზულობით ამტკიცებდა, რომ „იმპერატორის მიერ განწული სილა, მისთვის არის არა პატივის აყრა, არამედ საფრანგეთის პირველი პირის მიერ უკმაყოფილების გამოხატვის ფორმა“. როგორც იტყვიან კომენტარები ზედმეტია. ამის საკომპენსაციოდ, ნაპოლეონი უხვად ასაჩუქრებდა ასეთ გენერლებს. ვფიქრობთ, ნაპოლეონის შემდეგ დიდად არაფერი არ შეცვლილა და ამის საილუსტრაციოდ შორს წასვლა სულაც არ არის საჭირო!

## პარალელური განზომილება

### Memento, quod es Homo!

მიუხედავად ჩვენს გარშემო მიმდინარე ძალზე საშიში პროცესებისა დაბევრისთვის გაუსაძლისი ეკონომიკური მდგომარეობისა, ადამიანს მაინც ყოველთვის მომავლის იმედი აქვს, რაც, უპირველეს ყოვლისა მისი ოცნების უნარში გამოიხატება!

ოცნება ალაგზნებს ტვინის უფაქიზეს შრეებს, ხატავს მის გარშემო ედემს, აღძრავს ადამიანში გზნებას და ეს ყველაფერი სიყვარულში ჰპოვებს თავის გამოხატულებას... ამიტომ, ყოველთვის და ყველგან უნდა ვეცადოთ მივსდიოთ რომაულ შეგონებას, – გახსოვდეს, რომ ადამიანი ხარ!

დიდი ქართველი მწერალი, **ჯემალ ქარჩხაძე**, თავის დიდებულ რომანში, – „განზომილება“, შესანიშნავად ახასიათებს ფილოსოფიის ორ უმნიშვნელოვანეს ცნებას – **„შესაძლებლობისა“** და **„ხდომილებას“**, – შორის მიმართებას. მისი აზრით, – **„როგორც კი იმას დაფუძვებთ, რომ სანუთროს ან „აუცილებლობა“ განაგებს, ან „შემთხვევითობა“ (ჩათვალე „ბედისწერა“- თ.ა.) ... მყისვე უნდა ვაღიაროთ, რომ აუცილებელობა განაგებს და არა შემთხვევითობა, ვინაიდან,**

თუ შემთხვევითობა განაგებს და ყველაფერი, რაც ხდება, შემთხვევით ხდება, გამოდის, რომ შემთხვევითობას ალტერნატივა არა ჰქონია და, მაშასადამე, აუცილებლობით ყოფილა გამონკვეული.“

ამ დიდებული აზრიდან გამომდინარე მინდა, ერთი შეხედვით რიტორიკული კითხვა დავსვათ, – შეუძლია თუ არა ადამიანს, შემთხვევითობათა ამ უსასრულო მიმდევრობათა აუცილებელ ჯაჭვში მისთვის სასურველი შემთხვევითობა ჩართოს, ხოლო თუ შეუძლია, ამით იგი ქაოსში, ანუ შემთხვევითობათა ამ უსასრულო ჯაჭვში, მისთვის სასურველ შემთხვევითობათა ახალ მიმართულებას შექმნის თუ არა, რაც, თავის მხრივ იმას ნიშნავს, რომ მისთვის სასურველ წესრიგს შეიტანს, ან, გნებავთ მართვადი ქაოსის პრეცედენტს შექმნის?

რა მოხდებოდა ასეთ შემთხვევაში: სხვა სამყაროს მივიღებდით, თუ იგივე სამყაროს სხვა სურათს?

თუ თითოეული ჩვენთაგანის დაბადებამდე არსებულ, უსასრულო შემთხვევითობათა აუცილებელ ჯაჭვს, უცვლელად დავტოვებთ და, შემდგომ ამისა, როდესაც სამყაროში მიმდინარე მოვლენების მჭვრეტელობით აღქმას დავინწყებთ, ის შემთხვევები, რომლიდანაც ჩვენ არჩევანის საშუალება გვაქვს და, რაღაც მოსა-

ზრებებით, რომელიღაც ერთს ავირჩევთ, ცხადია, სრულიად სხვა ცხოვრების ხაზი გვექნება, მაგრამ შესაძლებელია თუ არა იმ შემთხვევის არსებობა, გნებავთ განხილვა, რომ ჩემი „მე“ უკან დაბრუნდეს და სხვა არჩევანი გააკეთოს, რომელიც თავდაპირველისგან განსხვავებულია?

ან, კიდევ უფრო მეტი, – შესაძლებელია ჩემი, ე.წ. „ფანტომი“, რომელთა რაოდენობა, თუ შესაძლო ვარიანტების ჯამური რიცხვი  $n$ -ია, შეადგენს  $2^n$  -ს, ანუ წარმოუდგენლად დიდ სიდიდეს, და, თუ ამ სიდიდეს, ყველა ინდივიდის რაოდენობის ყველა შესაძლო რაოდენობაზე, ანუ  $2^n$  ფაქტორიალზე გავამრავლებთ, გვექნება –  $2^n \times 2^n$  !, რაც უკვე სრულიად წარმოუდგენელ სიდიდეს გვაძლევს, ანუ ამდენი რაოდენობის სამყაროთა შესაძლებელი ვარიანტის არსებობა?

ამ ჰიპოთეზის განხილვამდე შევთანხმდეთ, რომ ადამიანთა საზოგადოების განვითარების ერთ-ერთ აგრეგირებულ მაჩვენებელს სამუშაო და თავისუფალი დროის თანაფარდობის სიდიდე წარმოადგენს. **რაც მეტია თავისუფალი დროის ხვედრითი წილი, მით მეტია საზოგადოების კეთილდღეობის ხარისხი!**

თავისუფალი დრო, საზოგადოების განვითარებასთან ერთად, როგორც წესი, იზრდება და უნდა ვივარაუდოთ, რომ მომავალშიც ეს პრო-

ცესი აუცილებლად გაგრძელდება, რომლის ერთ-ერთი ფაქტორი, შრომის მწარმოებლურობის ზრდაა. ეს უკანასკნელი კი, სხვა სიკეთესთან ერთად უმუშევრობის შემცირების (და არა გაზრდის, როგორც ეს ბევრს, არც თუ უსაფუძვლოდ ჰგონია) ყველაზე ეფექტიანი გზაა.

მართლაც, თუ, ვთქვათ, მწარმოებლურობის 2-ჯერ გაზრდა, სხვა თანაბარ პირობებში, გამოიწვევს წარმოებული პროდუქციის ორჯერ გაზრდას, მაშინ ჩვენ შეგვიძლია, ასევე სხვა თანაბარ პირობებში, სამუშაო დრო ორჯერ შევუმციროთ დასაქმებულებს და გამოთავისუფლებული დროის პერიოდში დავასაქმოთ უმუშევრების გარკვეული რაოდენობა, და არა ზუსტად იმდენი, რამდენიც მუშაობდა, რადგანაც, ჯერ ერთი, პროდუქციის ზრდაზე, უშუალოდ შრომის მწარმოებლურობის გარდა, სხვა ფაქტორებიც ახდენს გავლენას და, ამდენად, ეს კავშირი პირდაპირ პროპორციული არ არის, გარდა ამისა, თავად უმუშევრობაც საკმაოდ ბევრი ნაირსახეობით არსებობს, რომელიც ასევე გავლენას ახდენს ამ კავშირზე. მაგრამ ახლა ჩვენ აქცენტს იმაზე ვაკეთებთ, რომ თავისუფალი დრო, ყველა ზემოთ ჩამოთვლილი მიზეზების შედეგად, იზრდება.

აქ ერთი არსებითი ხასიათის შენიშვნა უნდა გავაკეთო. კერძოდ, ეს ეხება ადამიანთა პო-

პულაციის სიდიდის დასაშვებ ზედა ზღვარს. საქმე იმაშია, რომ ადამიანთა რაოდენობა დედამიწაზე აუცილებლად მიაღწევს მის ზღვრულ რაოდენობას, ანუ იმ რაოდენობას, როდესაც დედამიწის სასიცოცხლო არეალი მეტს ვეღარ აიტანს. ცხადია ეს სიდიდე დამოკიდებული იქნება იმაზე, თუ რას ჩავთვლით ადამიანის სასიცოცხლო სტანდარტად, გამოხატულს ფულად ერთეულებში, შემდგომ ამისა, რა რაოდენობის ერთობლივი პროდუქტის წარმოება შეუძლია კაცობრიობას და რამდენია საჭირო ერთი „სტატისტიკური ოჯახისთვის“. ეს სიდიდე უნდა შედარდეს იმ სიდიდეს, რომლის მოცემაც შეუძლია გარემო სამყაროს. ამის შემდეგ კი უნდა დავადგინოთ ადამიანთა გონივრული რაოდენობის ფორმულა.

ერთ-ერთი, არც თუ დემოკრატიული ფასეულობების მქონე თეორიით, სტატისტიკურად, ყოველი შემთხვევით აღებული 100 ადამიანიდან დაახლოებით 70-ია თუ არის დამაკმაყოფილებელი ინტელექტის.

ცხადია, ეს სულაც არ არის იმის ბრალი, რომ არსთა განმგებელის მიერ ცოცხალი ორგანიზმების შექმნის პროგრამებში და მისი პრაქტიკული რეალიზაციისთვის საჭირო უზრუნველყოფაში რაიმე წუნი გაეპარა. არა, ეს ასე ნამდვილად არ არის. უბრალოდ, არსთა გა-



ნმგებელმა გადანყვიტა შესაძლებლობათა რეალიზების არეალი, გნებავთ მათი თავისუფლების ხარისხის დიაპაზონი, იმდენადვე ფართე ყოფილიყო, რამდენადაც ამას კაცთა მოდგმის თანაცხოვრებისთვის იქნებოდა აუცილებელი და მათ თავად ჰქონოდათ საშუალება თავიანთი შესაძლებლობების მიხედვით განლაგებულიყვნენ, – გნებავთ, გადანაწილებულიყვნენ, – საზოგადოებრივი ცხოვრების იერარქიული კიბის შესაბამის საფეხურებზე.

ამისთვის კი, უბრალოდ აუცილებელი იყო, რომ მათი ინტელექტუალური შესაძლებლობები განსხვავებული ყოფილიყო. აქ სიტყვა „ინტელექტი“ ძალზე ფართო გაგებით უნდა გავიაზროთ. ეკონომიკური თეორიის ენაზე რომ ვთქვათ, ადამიანებმა ის საქმე უნდა აკეთონ, რაც მათ ყველაზე კარგად გამოსდით საზოგადოებრივი თანაცხოვრების პირობებში, ანუ, რაშიც აქვთ ე.წ. **„შედარებითი უპირატესობა“** და, რამდენადაც არ არსებობს თუნდაც ორი, ზუსტად ერთნაირი ადამიანი, ამიტომ თითოეულ მათგანს, რალაც ფორმით და, რალაც რაოდენობით, – ეს **„შედარებითი უპირატესობა“** გააჩნია. მაგრამ ამ განსხვავებათა მხოლოდ 70 პროცენტია, თუნდაც ამ ფართო გაგებით **„ინტელექტუალი“**, დანარჩენი, ძალიან პრაგმატულად თუ შევხედავთ საკითხს, – ამ 70 პროცენტის შე-

სანახია და, რადგანაც ადამიანები ვართ, საზოგადოება ვალდებულია ისინი არ განიროს.

როგორც უკვე ითქვა, ადამიანთა პოპულაციის ზრდა არ შეიძლება უსასრულობამდე გაგრძელდეს და ის, რომ ზესახელმწიფოები, რომელთა რეალურ და პოტენციურ რაოდენობათა ჯამი 4-5-ს არ აღემატება, ცდილობენ მსოფლიო ბატონობა მოიპოვონ და, როგორც ჩანს, ადრე, თუ გვიან ეს ასეც მოხდება, აუცილებლად დადგება დღის წესრიგში საკითხი, ადამიანთა ოპტიმალური რაოდენობასთან, რომელთა ცხოვრებაც იქნება ღირსეული, ხოლო საიდან მოხდება და როგორ მოხდება მათი შერჩევა, – ეს იქნება რაიმე წესზე დაფუძნებული, თუ ეს იქნება სტიქიურად, – ძნელი სათქმელია.

ბოლოს და ბოლოს ადამიანები მივლენ იმის აუცილებლობამდე, რომ არჩევანი მოხდეს იმ 70 პროცენტიდან, რომელსაც არსთა განმგებელი გვთავაზობს. რატომ მივალთ ასეთ სიტუაციამდე გასაგებია, – ადამიანის მოთხოვნილებების დაკმაყოფილებას ადამიანის შრომა აღარ დასჭირდება, რადგან იქნება სრულიად ავტომატიზირებული პროცესი, რომელიც ადამიანის ჩაურევლად იმუშავებს და მის ნებისმიერ გონივრულ მოთხოვნას დააკმაყოფილებს. აქედან გამომდინარე, დადგება არანაკლებ დიდი პრობლემა, – როგორ გამოიყენოს ადამიანმა თავისუფალი დრო?

ანტიკურ ხანაში თავისუფალი დროის პრობლემა მხოლოდ საზოგადოების ყველაზე უზრუნველყოფილ ფენას ჰქონდა და ისინიც ამას პოეზიით, თეატრალიზებული წარმოდგენებით და სხვადასხვა სახის სანახაობებით იკმაყოფილებდნენ, – გლადიატორების ბრძოლებით დაწყებული და პერმანენტული ორგეებით დამთავრებული.

გუტენბერგის მიერ ნიგნის ბეჭვდის აღმოჩენამ თავისუფალი დროის პრობლემის გადაჭრას უფრო ინდივიდუალიზებული ხასიათი მისცა, რადგანაც თითოეული მკითხველი ერთი ერთზე რჩებოდა ნაწარმოების გმირებთან.

კინემატოგრაფმა კი შექმნა ვირტუალური სამყარო, რასაც ინდივიდუალიზებული სახე მისცა პერსონალური კომპიუტერის გამოგონებამ. სულ უფრო და უფრო მეტი ადამიანი „ცხოვრობს“ კომპიუტერების მიერ შექმნილ ვირტუალურ სამყაროში და, თუ ჯერ სხვადასხვა ვირტუალური თამაშების მონაწილეა გარედან ზემოქმედების მეშვეობით, სულ მალე, ალბათ, მისი ორეული „ფანტომი“ უკვე უშუალოდ გახდება ამ პროცესების მონაწილე და იქ „გათამაშდება“ ყველა შესაძლო შემთხვევათა ის უსასრულო რაოდენობა, რომლის შესახებ ჩვენ ზემოთ ვისაუბრეთ.

ამის შემდეგ, ისინი უკვე „თავისი საკუთა-

რი ცხოვრებით იცხოვრებენ“, ერთდ შექმნიან ვირტუალურ სახელმწიფოებს, თანაცხოვრებისთვის საჭირო სამართლებრივი ატრიბუტებით და ყველა შესაძლო ვარიანტების პარალელურ სამყაროებში.

თუ კი მოხერხდა და თითოეულმა ჩვენთაგანმა საკუთარი „მე“-ს კოპირება მოახდინა და მისი გადატანა ამ ვირტუალურ სამყაროში, მაშინ აქაური „მე“-ს პარალელურად უამრავი „მე“ იქნება პარალელურ სამყაროთა უსასრულო ჩამონათვალში.

თუ ეს ყველაფერი რეალურად მოხერხდება, მაშინ ჩვენ ჩეგვიძლია იმაზეც ვიფიქროთ, თუ როგორ ნავიდეთ სანყისი წერტილიდან უკან, ე.წ. „ნარსულში“ ნებისმიერი სიზუსტით და იქაც ვნახოთ ყველა შესაძლო ვარიანტების ყველა შესაძლო შედეგები, მიმართული ჩვენი წინაპრებისკენ.

## ეკონომიკური თავისუფლება

ვის ძალუძს ჩანვდეს იუბი-  
ტერის თვალთმაქცობას?

ოვიღისი

**უზენაესი უფლებები.** ადამიანის, როგორც სოციალური არსების, უმთავრეს უფლებათა შორის სამი უმნიშვნელოვანესი უფლება უნდა გამოიყოს, რომლებიც თავისი არსით უზენაეს ფასეულობებს წარმოადგენენ. მათ რიგს, უპირველეს ყოვლისა, განეკუთვნება, – **სიცოცხლის უფლება, თავისუფლება და საკუთრების უფლება.**

**სიცოცხლის უფლება.** ეს უფლება ადამიანის იმდენად ფუნდამენტალურ უფლებათა რანგს განეკუთვნება, რომ მისი უზენასეობის რაობაზე საუბარიც კი ზედმეტია. ამასთან დაკავშირებით ალბათ უპრიანი იქნება მხოლოდ ერთი, საყოველთაოდ მიღებული თეზა მოვიყვანო, რომელიც, ჩემი აზრით, ყოვლისმომცველად ასახავს ადამიანის ამ უზენაეს უფლებას, – **არავის არა აქვს ადამიანის სიცოცხლის ხელყოფის უფლება.** და, თუმცა კაცობრიობის განვითარების ისტორია უფრო სანინალმდეგო მაგალითების, კერძოდ ადამიანის სიცოცხლის ხელყოფის ისტორიაა, ეს საყოველთაოდ აღიარებული უფლება მაინც უდიდესი გამარჯვებაა ადამიანის, როგორც საზოგა-

დოებრივი ინდივიდისა, ადამიანზე, როგორც ბიოლოგიურ ინდივიდზე.

**თავისუფლება და მისი ფორმები.** ადამიანის მეორე უზენაესი უფლება – თავისუფლებაა. თავისუფლება ძალზე ფართო ცნებაა და ამდენად იგი ბევრ ასპექტში მოიაზრება. მაგრამ, უპირველეს ყოვლისა, საჭიროა ამ ცნების შემოტანა და განმარტება, – **რა არის თავისუფლება.**

თავისუფლების, როგორც ცნების, ნებისმიერი განმარტება გარკვეულწილად ფილოსოფიური შინაარსის მატარებელია, რომელთაგან ერთ-ერთი მათგანი იმდენადვე კომპაქტურია, რამდენადაც სრული, – **თავისუფლება – ეს არის შეცნობილი აუცილებლობა.** „თავისუფლების“ ცნების ეს განმარტება, ერთის მხრივ, უფრო სოციალური შინაარსის მატარებელია და მხოლოდ ამდენად არის რამდენადმე ფილოსოფიური. ასეთი განმარტების მთელი პარადოქსულობის მიუხედავად, მასში ჭეშმარიტების რაციონალური მარცვალის ნამდვილად დევს და იმას გულისხმობს, რომ თავისუფლება არ ნიშნავს ყველაფერში და ყველას მიმართ ისე მოქცევას, როგორც შენ მოგეხასიათება.

ადამიანის თავისუფლება იქ თავდება, სადაც სხვა ადამიანის თავისუფლების შეზღუდვა იწყება მისი ნების საწინააღმდეგოდ. ეს ერთგვარი ინტერპრეტაციაა ე.წ. „პარეტოს კრიტერიუმისა“,

რომელიც ეკონომიკის სფეროში გამოიყენება და, რადგანაც შეუძლებელია ადამიანთა საზოგადოებრივი თანაცხოვრების ისეთი თეორიული მოდელის შექმნაც კი, რომ ადამიანთა საზოგადოებრივი ურთიერთობისას ერთი ადამიანის თავისუფლება არ ინვედეს მეორე ადამიანის თავისუფლების შეზღუდვას, ამიტომ ადამიანები იძულებულები გახდნენ ადამიანთა საზოგადოების ჩამოყალიბებისთვის თავიანთი უფლებების, ანუ თავისუფლების გარკვეული ნაწილის, დელეგირება მოეხდინათ და ეცხოვრათ იმ შეზღუდვების პირობებში, რასაც მათი ერთობლივი თანაცხოვრების აუცილებლობა მოითხოვს. ამ საკითხებზე დიდებული ნაშრომი აქვს ფრანგული განმანათლებლების დიდებულ წარმომადგენელს **ჟან-ჟაკ რუსოს**, რომლის ნაკითხვაც ერთ რამედ ღირს და, რომლის სათაურია – **„საზოგადოებრივი ხელშეკრულება.“** საკითხის არსს არ ცვლის ის ფაქტი, რომ ამ უფლებების დელეგირების სიდიდე, ქვეყნიდან ქვეყანამდე და საუკუნიდან საუკუნემდე იცვლებოდა, იცვლება და მომავალშიც არა ერთხელ შეიცვლება. აქ მთავარი ის არის, რომ, როდესაც ადამიანი ამ თავისი უფლებების, ანუ თავისი პერსონალური თავისუფლების შეზღუდვის აუცილებლობას ხედავს და ნებაყოფლობით ამ თავისი უფლებების დელეგირებას ახდენს, რათა მოხდეს ადამიანთა საზოგადოების დემოკრატიული პრი-

ნციპების საფუძველზე ფორმირება, ე.ი. მას შეც-  
ნობილი აქვს ამის აუცილებლობა და შედეგად,  
იგი არის თავისუფალი. როდესაც ადამიანს მისი  
ნების საწინააღმდეგოდ უზღუდავენ, საზოგადო-  
ების მიერ დადგენილი შეზღუდვების საყოველთა-  
ოდ მიღებულ ნორმებზე მეტად, უფლებებს, მაშინ  
გვაქვს თავისუფლების შეზღუდვა, რომლის უკი-  
დურეს გამოვლინებასაც წარმოადგენს მონობა.

თავისუფლების ზემოთ აღნიშნული განმარტე-  
ბის წმინდა ფილოსოფიური შინაარსით მაინც გა-  
ნსხვავებულ ასპექტს შეიცავს და იგი გვესახება,  
როგორც თავისუფლება, რომელსაც გააზრებუ-  
ლ-გათავისებული აქვს მის გარშემო მიმდინარე  
აუცილებელი მიზეზების მთელი სპექტრი და  
ამდენად, თავის ქმედებებში შეუძლია მათი გათ-  
ვალისწინება და, სწორედ ამიტომ, და, სწორედ  
ამდენად, არის იგი თავისუფალი. რამდენადაც  
ჩვენ აქ მხოლოდ პიროვნების თავისუფლებაზე  
ვსაუბრობთ და არა საზოგადოდ თავისუფლება-  
ზე, როგორც ასეთზე, ამდენად, ამ ცნების ქვეშ,  
უპირველეს ყოვლისა, მოიაზრება პიროვნული  
თავისუფლების ისეთი ფორმები, როგორიცაა: –  
**ფიზიკური თავისუფლება, სიტყვის თავისუფლე-  
ბა, რწმენის თავისუფლება, პოლიტიკური თავი-  
სუფლება და ეკონომიკური თავისუფლება.** ამ ფო-  
რმებიდან, ჩვენი ნაშრომის მიზანს ეკონომიკური  
თავისუფლების შუქ-ჩრდილების გამოკვლევა წა-



რმოადგენს, თუმცა გარკვეულწილად განვიხილავთ ინდივიდის თავისუფლების სხვა ფორმებსაც.

**ფიზიკური თავისუფლება.** ფიზიკური თავისუფლება ადამიანის უპირველეს თავისუფლებათა რანგს განეკუთვნება და, რამდენადაც, ამ საკითხზე, კაცობრიობის იმდენად ბუმბერაზ ადამიანებს გამოუთქვამთ თავისი წონადი აზრი, და, საერთოდ, ამის შესახებ იმდენი რამ დანერილა, რომ, ერთის მხრივ, თითქოსდა შეუძლებელია ამ საკითხთან მიმართებაში რაიმე ახლის თქმა, მაგრამ, მეორეს მხრივ, კაცობრიობის განვითარების ისტორია იმის თვალსაჩინო მაგალითია, რომ ამ მიმართებით ადამიანის ეს უზენაესი უფლება ყოველი ფეხის ნაბიჯზე პერმანენტურად ითელდება და, ამდენად, ამ მხრივ კიდევ ძალიან ბევრია გასაკეთებელი.

ადამიანის ფიზიკური თავისუფლების ხელყოფისას, მისი ნებისმიერი ფორმით და, განსაკუთრებით ადამიანის ფიზიკური თავისუფლების შეზღუდვასთან მიმართებაში, ჩვენი აზრით, აუცილებელია ალტერნატიული დანახარჯების თეორიის გამოყენება, ანუ საზოგადოებას მიერ პიროვნების ფიზიკური თავისუფლების შეზღუდვის ალტერნატიული დანახარჯის რაოდენობრივი გაზომვა.

კკერძოდ, – თუ პიროვნების თავისუფლების შეზღუდვის ალტერნატიული დანახარჯი უფრო

მეტია, ვიდრე მის მიერ ჩადენილი დანაშაულით საზოგადოებისთვის მიყენებული ზიანი, მაშინ პიროვნების ფიზიკური თავისუფლება არ უნდა შეიზღუდოს. ამ, უკვე მრავალ ქვეყანაში დიდი ხნის განმავლობაში აპრობირებული, მიდგომის საფუძველზე შეიძლება დავასკვნათ, რომ ბევრი ის პიროვნება, რომელიც გისოსებს მიღმა ზის, ერთის მხრივ, მათთვის, როგორც საზოგადოების წევრებისთვის, არავითარი სიკეთის მომტანი არ არის, ხოლო, მეორეს მხრივ, არც საზოგადოებისთვის მოაქვს რაიმე სასიკეთო. პირიქით, ასეთ მიდგომას მხოლოდ ეკონომიკური ზიანი მოაქვს საზოგადოებისათვის, რაც, როგორც ქვემოთ ვნახავთ ამ უკანასკნელის ეკონომიკურ თავისუფლებას ზღუდავს.

**პოლიტიკური თავისუფლების** შესახებ საუბრისას, თუნდაც ზედაპირულად, მაგრამ მაინც, აუცილებელია შევეხოთ, გნებავთ ადამიანის, როგორც საზოგადოების წევრის, გნებავთ ადამიანთა საზოგადოების, გნებავთ ერის, თუ ეროვნების, ან სულაც სახელმწიფოს, -პოლიტიკურ თავისუფლებას.

თუმცა, პოლიტიკური დამოუკიდებლობა შესაძლოა გარკვეულწილად დამოუკიდებლობის სინონიმადაც მოიაზრებოდეს, ადამიანთა სწრაფვა პოლიტიკური დამოუკიდებლობისადმი, შეიძლება ითქვას, სულ ცოტა, თავად ადამიანთა საზოგადო-

ების ასაკს ითვლის. სულ ცოტა, – იმიტომ, რომ სანამ ადამიანი საზოგადოებრივ ინდივიდად ჩამოყალიბდებოდა, დამოუკიდებლობისადმი მათი სწრაფვა, თუნდაც გარკვეულად სახეშეცვლილი ფორმით, მაინც არსებობდა.

ცხადია, ამ საკითხთან მიმართებაში უამრავი რამ ითქვა და დაინერა, მაინც მიუხედავად იმისა, რომ თავისუფლების ეს ორი ასპექტი – **ფიზიკური თავისუფლება და პოლიტიკური თავისუფლება**, – ადამიანთა მოდგმის ისტორიას წითელ ხაზად გასდევს, ჩემი აზრით არანაკლებ მნიშვნელოვანია ადამიანის, ისევე როგორც ადამიანთა საზოგადოებების, ეკონომიკური თავისუფლება.

**ეკონომიკური თავისუფლების** ის ასპექტები, რომლის შესახებაც მინდა მკითხველის ყურადღება შევაჩეროთ, ჩემი აზრით, მისი შესწავლის არანაკლები ძალისხმევის მიუხედავად, ნაკლები ყურადღება ექცევა. არადა, ეკონომიკურ თავისუფლების ხელყოფას ყოველ ფეხის ნაბიჯზე ვაწყდებით. დღეს, როდესაც ერთი ქვეყანა მეორეს იმორჩილებს, ეს დამორჩილება, სულ უფრო და უფრო, პირველ რიგში, სახელმწიფოს ეკონომიკური სუვერენიტეტის შეზღუდვით იწყება. სახელმწიფოთა შორის საუკუნეების განმავლობაში არსებული სისხლისმღვრელი ბრძოლები, დღეს, პრაქტიკულად, დამორჩილების ამ ფორმით, ანუ, უფრო ცივილიზებული ფორმით, – ეკონომიკური

დაპყრობის ფორმით შეიცვალა.

ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ ეკონომიკური თავისუფლების პრობლემა არა მხოლოდ სახელმწიფოთა შორის ურთიერთობისას იჩენს თავს, არამედ, როგორც პოლიტიკურად, ასევე ეკონომიკურად სუვერენული სახელმწიფოს შიგნითაც. ანუ, ადგილი აქვს ეკონომიკური თავისუფლების შეზღუდვას არა მხოლოდ სახელმწიფოთა შორის ურთიერთობისას, არამედ პიროვნებათა შორის და, უპირველეს ყოვლისა, მისი გამოვლინების ისეთი ფორმების სახით, როგორცაა ფიზიკურ და იურიდიულ სუბიექტებს შორის ურთიერთობები.

მართლაც, ნებისმიერი მონოპოლია – ბუნებრივი, თუ ჩვეულებრივი, ოლიგოპოლია, თუ მონოპოლისტურად კონკურენტული საბაზრო სტრუქტურა, ეკონომიკური თავისუფლების შეზღუდვის კლასიკური მაგალითებია. უფრო მეტიც, რამდენადაც სრულყოფილად კონკურენტული ბაზარი ბუნებაში პრაქტიკულად არ გვხვდება და, უკეთეს შემთხვევაში, გვაქვს მონოპოლისტურად კონკურენტული საბაზრო სტრუქტურა, ამდენად, ნებისმიერ შემთხვევაში გვაქვს, ამა თუ იმ ზომით, ეკონომიკური თავისუფლების შეზღუდვა.

მწარმოებლებთან მიმართებაში ეს შეზღუდვა, უპირველეს ყოვლისა, იმაში გამოვლინდება, რომ ბაზარზე შესვლა, თუ შეუძლებელი არა,

ძალზე გაძნელებულია, ხოლო მომხმარებელთან მიმართებაში, ეს შეზღუდვა, უპირველეს ყოვლისა, იმაში გამოვლინდება, რომ არჩევანის შესაძლებლობაა შეზღუდული და, მეორე, – საქონელი იყიდება მის ზღვრულ დანახარჯებზე მეტ ფასად. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ნებისმიერი საბაზრო სტრუქტურა, რომელიც საქონელსა თუ მომსახურებას, თავის ზღვრულ დანახარჯებზე მეტად ყიდის და ამასთან, მომხმარებელს არჩევანის გაკეთების საშუალებას არ აძლევს, წარმოადგენს ეკონომიკური თავისუფლების შემზღუდავ ფაქტორს.

ყველაზე საინტერესო ის არის, რომ ის საქონელი, თუ მომსახურება, რომელიც მთელ საზოგადოებას სჭირდება, სწორედ იმიტომ, რომ იგი საზოგადოებრივი საქონელია და, ამდენად, არსებობს ე.წ. **„ფრი რაიდერის“**, ანუ **„უბილეთო მგზავრის“** პრობლემა, მას აწარმოებს არა კერძო სექტორი, არამედ სახელმწიფო, რამდენადაც მისი წარმოების ფასი, როგორც ზემოთ მოყვანილი პრობლემის არსებობის, ასევე, შესაძლოა, სხვა მიზეზების გამოც, გაცილებით მაღალია, ვიდრე ეს საზოგადოებისთვის მისაღებია.

როგორც ნესი, ეს ხდება ორი ფორმით. პირველ შემთხვევაში სახელმწიფო თავად აფუძნებს საწარმოს და აწარმოებს აღნიშნულ საქონელსა თუ მომსახურებას და ყიდის მის ზღვრულ დანა-

ხარჯებზე ნაკლებ ფასად, ხოლო მეორე შემთხვევაში, სახელმწიფო უკვე თავს კერძო სექტორს ამ, საქონლისა თუ მომსახურების წარმოებას, რომელსაც საბაზრო ფასად შეისყიდის სახელმწიფო და მოსახლეობას მიჰყიდის აღნიშნულ ფასზე გაცილებით ნაკლებ ფასად.

დღეისთვის საქართველოს სინამდვილეში, პირველი მიდგომის მაგალითია, – მეტროპოლიტენი და საქალაქო ავტობუსები, ხოლო მეორის მაგალითია, – ქალაქის გაზით და ელექტროენერჯით მომარაგების კომპანიებთან სახელმწიფოს ურთიერთობა.

თუმცა, ნებისმიერ შემთხვევაში, სახელმწიფოს მიერ საზოგადოებრივი საქონლის წარმოების დაფინანსება გადასახადის გადამხდელთა ჯიბიდან ხდება. რაც შეეხება იმ შემთხვევას, როდესაც გვაქვს მონოპოლისტური, თუ მისი მსგავსი საბაზრო სტრუქტურები, – თითოეული ჩვენთაგანი ვიხდით ამ ფირმების მიერ განეულ ზღვრულ დანახარჯებზე მეტ ფასს.

ამ შემთხვევების განხილვა თვალნათლივ გვიჩვენებს, რომ ორივე შემთხვევაში საზოგადოება მოტყუებული რჩება. მისი ეკონომიკური თავისუფლება იზღუდება, რამდენადაც იგი საქონელსა თუ მომსახურებას, იმაზე მეტ ფასად ყიდულობს, ვიდრე მისი ყიდვა შეიძლება. პირველ შემთხვევაში, როდესაც საზოგადოებრივი საქონელი

ინარმოება და იგი მისი წარმოების დანახარჯებზე ნაკლებ ფასად იყიდება, – განსხვავებას სახელმწიფო აფინანსებს გადასახადებიდან აკრეფილი თანხების მეშვეობით, ხოლო მეორე შემთხვევაში, საქონელი, თუ მომსახურება, კერძო სექტორის მიერ, უფრო მეტ ფასად იყიდება, ვიდრე ეს მისი ზღვრული დანახარჯებია.

ეკონომიკური თავისუფლების შეზღუდვის ე.წ. „ფსიქოლოგიური პარადოქსი“ და, აქედან გამომდინარე, ყველაზე გასაოცარი ის არის, რომ ამ ფაქტზე თითოეული ჩვენთაგანი არანაირად არ რეაგირებს. თითქოსდა, ერთი შეხედვით, სულ ერთია, – სახელმწიფო მოსახლეობისგან აკრეფილი გადასახადებით დააფინანსებს ამა თუ იმ საზოგადოებრივი საქონლის წარმოებას, თუ უშუალოდ მოსახლეობას დააკისრებს მის გადახდას. მაგრამ როგორც ირკვევა, ეს სულაც არ არის სულერთი მოსახლეობისთვის.

ამის ერთ-ერთი მიზეზი იმაში მდგომარეობს, რომ მთლიანად საზოგადოებას არა აქვს გაცნობიერებული, ხოლო ხელისუფლებას არ უნდა გააცნობიეროს არსებული პრობლემების არსი. ამის მაგალითად შეიძლება გამოვსვათ წინა ხელისუფლების პერიოდში, ქალაქის დასუფთავებისა და წყლის ფასის ზრდასთან დაკავშირებით მოსახლეობის დიდი ნაწილის აშკარად გამოხატული უკმაყოფილება. რადგანაც ამ თანხებს თავად

მოსახლეობა უშუალოდ თავისი ჯიბიდან იხდიდა, ეს მისთვის მიუღებელი იყო, ხოლო როდესაც ამ თანხას სახელმწიფო იხდიდა, მისთვის ეს არ იყო პრობლემური, რადგანაც ეს თანხა, უშუალოდ მისი ჯიბიდან, კონკრეტულად ამ გადასახდელზე არ მიიმართებოდა.

როგორც ვხედავთ, თავისი არსით ეს ფსიქოლოგიური ფაქტორი, იმდენად არსებითია, რომ მოსახლეობა უკმაყოფილოა ამით, მაგრამ არავითარ უკმაყოფილებას არ გამოხატავს იმასთან დაკავშირებით, რომ, ვთქვათ, მობილურზე გადასახდელი წუთზე თითქმის 24 თეთრს შეადგენს, და ამ დროს თითოეული მომხმარებლისგან, სულ ცოტა 5-6 თეთრი, ზედმეტი მიაქვთ.

ამგვარად, ეს, ერთი შეხედვით წმინდა ფსიქოლოგიური ფაქტორი, შედეგის მხრივ უზარმაზარ განსხვავებებს იძლევა.

სწორედ ამიტომ ასეთ ფასებს ჩვენ **„ეფემერული საბაზრო ფასებს“** ვუნოდებთ და, აქედან გამომდინარე, ვასკვნით, რომ თავისუფალი საბაზრო ფასები, უკეთეს შემთხვევაში, – ქიმერაა, სატყუარაა, რომლითაც მთლიანად მსოფლიო მოსახლეობის ე.წ. **„ბედნიერი ნაწილი“**, ან, როგორც მათ სხვანაირადაც უნოდებენ, – **„ოქროს ნაწილი“** – მშვენივრად სარგებლობს.

საზოგადოების ამ ნაწილის მიმართ, მათი, საზოგადოების ამ უბედნიერესი ნაწილისადმი



მიკუთვნების მიუხედავად, ყველა სხვა გრძნობებთან ერთად, სიბრალულის გრძნობაც შეიძლება ადამიანს გაუჩნდეს, ისიც მხოლოდ იმიტომ, რომ, იმისდა მიუხედავად, რომ ისინი ჩვენთვის პრაქტიკულად ისეთივე მიუწვდომელი არიან, ვითარცა ანტიკური ხანის ღმერთები და, მათი დანახვა, უკეთეს შემთხვევაში, მხოლოდ მასმედიის საშუალებებით შეიძლება,- ისინიც ჩვეულებრივი მოკვდავები არიან!

მართლაც, მხოლოდ სიბრალულს აღძრავს იმის განცდა, რომ გქონდეს, ვთქვათ, 10 მილიარდი და ვერ იყიდო უკვდავება და შენც ისევე უნდა მოკვდე, როგორც, ვთქვათ, თითოეული რიგითი ჩვენთაგანი. ღმერთო რა უსამართლობაა! მათდა სანუგეშოდ ისლა დაგვრჩენია ვთქვათ, რომ მსოფლიოს წამყვან კლინიკებში მიდის ინტენსიური კვლევა-ძიება ადამიანის უკვდავსაყოფად თუ არა, სიცოცხლის მნიშვნელოვანი გახანგრძლივების მიმართულებით მაინც!

**რაში მდგომარეობს გამოსავალი, თუ კი საერთოდ არსებობს იგი და, ეფემერული საბაზრო ფასებივით, ისიც ეფემერული გამოსავალი ხომ არ არის? რატომ ითმენს ადამიანთა საზოგადოება ასეთ მდგომარეობას?**

ამ კითხვაზე პასუხი, მრავალთა შორის, ალბათ ისიც უნდა იყოს, რომ თეორიულად თითოეულ ჩვენთაგანს აქვს შანსი, რომ საზოგადოების ე.წ.

„ბედნიერ ნაწილს“, ანუ „ოქროს ნაწილს“ მიუერთდეს. გარდა ამისა, რაოდენ დაუზღერებლადაც არ უნდა ჟღერდეს, საზოგადოების ძალიან დიდ ნაწილს, არც იმის ამბიციები აქვს და, უფრო მეტიც, არც სურვილი, რომ მათ რიგებში მოხვდეს, თუ კი სახელმწიფო მათ მინიმალურად უზრუნველყოფს და მათ ელემენტარულ ადამიანურ უფლებებს დაიცავს.

და მაინც, მიუხედავად ზემოთ აღნიშნულისა, სიმდიდრის მიხედვით საზოგადოების პოლარიზაციის ხარისხის ზრდა თავისთავად დიდი საფრთხის შემცველია და შესაძლებელია გამოუხსნორებელ შედეგებამდეც მიგვიყვანოს. ამის მაგალითად 11 სექტემბრის ტრაგედიაც კმარა.

ზემოთ აღნიშნული მსჯელობებიდან გამომდინარე, შესაძლო მოსალოდნელი კატასტროფების თავიდან ასაცილებლად, აუცილებელია სახელმწიფოების მხრიდან ამ პროცესებში აქტიური ჩარევა. კერძოდ, თუნდაც ძალზე სქემატურად, ჩვენ ამ გლობალური პრობლემის გადაჭრა შემდეგნაირად გვესახება.

**პირველი,** – ცხადია უნდა გამოირიცხოს მარქსისკენ დაბრუნების ნებისმიერი მცდელობაც კი, თუნდაც თეორიულ დონეზე. კაცობრიობამ საკუთარ ტყავზე გამოსცადა ამ პოლიტიკური ექსპერიმენტის მთელი სიმძიმე და, არა იმდენად და იმიტომ, რომ მისი თეორიული პოსტულატები

მიუღებელი იყო, ან არის,- საზოგადოებისთვის, არამედ, უფრო იმიტომ, რომ ადამიანი, როგორც ბიოლოგიური არსება, როცა საქმე ეხება პირად ბედნიერებას, რაც, პირველ რიგში, საკუთარი ცხოვრების მაქსიმალურად კომფორტული გარემოს შექმნისკენ სწრაფვაში გამოიხატება, ძალზე სერიოზულად პრევალირებს ადამიანზე, როგორც სოციალურ არსებაზე.

ამის ყველაზე ნათელი მაგალითია კაპიტალიზმის, როგორც სახელმწიფოს ეკონომიკური მონეობის თეორიული მოდელის, ყველაზე „ნარმატიული“ შემთხვევა, – კონკურენტული ბაზარი, რომელიც ურთიერთობების, არც თუ მთლად ზნეობრივი და ნამდვილი ადამიანური ურთიერთობის საუკეთესო მაგალითს წარმოადგენს, – **ბაზრიდან ვარდება (ჩათვალე, კოტრდება) ყველა ის ეკონომიკური აგენტი, რომელიც, როგორც მწარმოებელი, წონასწორულ ფასზე მეტ ფასად აწარმოებს პროდუქციას, ხოლო როგორც მომხმარებელი, – ბაზრიდან ვარდება ყველა ის ეკონომიკური აგენტი, ვისაც საბაზრო ფასზე ნაკლების გადახდა შეუძლია, და სისტემას არ აინტერესებს მათი შემდგომი ბედი.** ანუ, ადამიანთა ეკონომიკური ურთიერთობების საბაზრო მოდელი გვიბიძგებს, ყველანაირი გზებით და საშუალებებით, რომელიც, როგორც წესი, ძალზე ხშირად სცდება, როგორც სამართლებრივ, ისე ზნეობრივ კანონებს,

დარჩე ეკონომიკური პროცესების ინსაიდერი და არც გაინტერესებს აუტსაიდერების ბედი.

სწორედ ამიტომ დგება დღის წესრიგში ეკონომიკური პროცესების სახელმწიფოს მხრიდან რეგულირების აუცილებლობა, მაგრამ, როგორც კაპიტალიზმის (და არა მხოლოდ კაპიტალიზმის) განვითარების ისტორია გვიჩვენებს, სახელმწიფოს ჩარევას თავის მხრივ, იმდენად ბევრი უბედურება მოაქვს საზოგადოებისთვის, რომ ხშირად არჩევანის წინაშე დგება ადამიანი, – რომელი უფრო დიდი უბედურებაა საზოგადოებისთვის, – მიუშვა ყველაფერი თვითდინებაზე, ანუ საბაზრო ძალებმა(?) დაარეგულიროს ყველაფერი, თუ ხელისუფლებას (რაც სულაც არ ნიშნავს მთლიანად სახელმწიფოს, და ხშირად სახელმწიფოს სახელით ვინრო, მერკანტილისტური ინტერესების დაკმაყოფილება ხდება) მიეცეს რეგულირების ფუნქცია .

სახელმწიფოს მხრიდან ეკონომიკის რეგულირებაში ჩარევის ერთ-ერთი ყველაზე დიდი უბედურების ერთ-ერთი ყველაზე დიდი და ნათელი მაგალითია, – სახელისუფლებო ვერტიკალს ჩახუტებული ბიზნესის, ზღვარს გადასული უზნეობით გაჯერებული დამოკიდებულება სახელმწიფო შეკვეთებთან დაკავშირებით, რაც სახელმწიფოს მიერ (და არა მხოლოდ სახელმწიფოს მიერ), გამოცხადებულ ტენდერებში მათი პერმანენტუ-

ლი გამარჯვებაა.

**მეორე,** – იქ, სადაც საზოგადოებრივი საქონლის წარმოება ხდება, აუცილებელია სახელმწიფო მონოპოლიების შექმნა ბუნებრივი მონოპოლიებისთვის დამახასიათებელი დადებითი მხარეების უზრუნველყოფით. მაგალითისთვის, რამდენად აუცილებელია სამი მობილური კავშირის ოპერატორების არსებობა გეოგრაფიული ზომებით ისეთ პატარა ქვეყანაში, როგორც საქართველოა?!

ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, ეს ხომ ხელოვნურად ზრდის წარმოების დანახარჯებს, თუნდაც იმიტომ, რომ სამჯერ მეტი რეტრანსლატორია საჭირო, აღარაფერს ვამბობთ აქედან წარმოქმნილი გამოსხივების ჯამური სიდიდის ზრდაზე. ამ გაუაზრებელი პოლიტიკით, საბოლოო ჯამში, თითოეული ჩვენთაგანის ეკონომიკური თავისუფლება იზღუდება, რადგანაც თითოეული ჩვენთაგანი უფრო მეტს იხდის, ვიდრე შეეძლო გადაეხადა ერთი ოპერატორის არსებობის პირობებში, აქედან გამომდინარე, ყველა იმ ნეგატიური შედეგებით, რაც საბოლოო ჯამში ქვეყნის შემდგომ ეკონომიკურ განვითარებას ამუხრუჭებს.

**მესამე,** – რაც შეეხება კერძო საკუთრებაში არსებულ მონოპოლიებს, განსაკუთრებით ტრანსნაციონალურ კორპორაციებს, რომლებიც

პრაქტიკულად გასული არიან ერთი რომელიმე ცალკე აღებული სახელმწიფოს სამართლებრივი სივრციდან, მათ მიმართ უნდა განხორციელდეს განსაკუთრებული სახის, როგორც ეკონომიკური, ასევე პოლიტიკური და სამართლებრივი რეფორმები. ის, თუ როგორი უნდა იყოს ეს რეფორმები, ისტორიას მივმართოთ.

ამ რეფორმების არსის გადმოცემამდე გავიხსენოთ ანტიკური ხანის რომის პოლიტიკური მმართველობა. ქვეყანას მართავდა სენატი, რომლის წევრთა რაოდენობა სხვადასხვა დროს სხვადასხვა იყო და ყველაზე მრავალრიცხოვანი **ლუციუს კორნელიუს სულას** მმართველობისას იყო, 600 სენატორს აღწევდა. სენატი ირჩევდა ორ კონსულს, როგორც აღმასრულებელი ორგანოს უმაღლეს წარმომადგენელს.

ძველი რომის პოლიტიკური მმართველობის სისტემაში ყველაზე გასაოცარი (თუ ყველაზე არსებითი არა), ის გახლდათ, რომ კონსულობის პერიოდი მხოლოდ ერთი წლით(!) განისაზღვრებოდა. გარდა ამისა, განსაკუთრებით საყურადღებოა ისიც, რომ კონსულად არჩევის უფლება ჰქონდა ადამიანს, რომელიც ასაკობრივად 43 წელზე ნაკლების არ იყო, პრეტორად, ანუ კონსულის შემდეგ ყველაზე მაღალ თანამდებობაზე, – 40 წლის ასაკიდან ირჩევდნენ და ეს თანამდებობა ანაზღაურებადი არ იყო, ხოლო ედილად, რომელი-

ბიჯ რომის მაგისტრატების ერთ-ერთ კოლეგიას წარმოადგენდნენ და პრაქტიკულად ტრიბუნების თანაშემწეები იყვნენ, ირჩევდნენ პიროვნებას, რომლის ასაკიც 37 წელზე ნაკლები არ უნდა ყოფილიყო და, ეს მაშინ, როდესაც ადამიანის სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობა, ალბათ 50 წელს არ აღემატებოდა. ამ წესს პრაქტიკულად იმდენად განუხრელად იცავდნენ, რომ ისტორიკოსებმა იმ თარიღის ცოდნით, თუ როდის იქნა არჩეული **იულიუს კეისარი** ედილად (ძვ. წ. 65 წელს), გამოთვალეს მისი დაბადების თარიღი, – ძვ.წ. 102 წ. ცხადია იყო გამონაკლისებიც, მაგალითად, როდესაც **ოქტავიანუს ავგუსტუსმა**, სულ რაღაც 20 წლის ასაკში, თავისი ცენტურიონები გაუგზავნა სენატს და მოითხოვა, რომ იგი კონსულად აერჩიათ, მაგრამ მაშინ სამოქალაქო ომი მძვინვარებდა რომში.

ის, რომ ორი კონსულის არჩევა ხდებოდა, და არა ერთის, – ეს წესი, რომის სენატის მხრიდან, ძალაუფლების უზურპაციის წინააღმდეგ მიმართულ ქმედით ღონისძიებად უნდა მივიჩნიოთ. მაგრამ, ძალიან ძნელია იმის გაგება, თუ რატომ აძლევდნენ კონსულებს უფლებამოსილების ასეთ მცირე ვადას.

იმ პერიოდის სატრანსპორტო და საკომუნიკაციო საშუალებებს თუ გავითვალისწინებთ და, ამასთან, რომის იმპერიის უკიდევანო ზომებს,

მართლაც ძნელი წარმოსადგენია, რა უნდა მოესწროთ ერთი წლის განმავლობაში კონსულებს. ამისდა მიუხედავად, სენატი ზედმიწევნით იცავდა ამ წესს და რომის ძლიერებას, საუკუნეების მანძილზე ამით არაფერი დაკლებია.

აღბათ ძნელი არ არის იმის მიხვედრა, თუ რატომ აკეთებდა ამას რომის სენატი. იმდენად დიდია ადამიანის სწრაფვა ძალაუფლების უზურპაციისკენ, რომ სენატი მზად იყო, – თუნდაც პრაქტიკულად პერმანენტული არჩევნებისა და ზედმეტი პოლიტიკური აქტივობის ფასად, რასაც ხშირად სისხლისმღვრელი გარჩევები ახლდა თან, – არ დაეშვა ძალაუფლების უზურპაციის მცდელობაც კი.

თუმცა აღნიშნული ღონისძიებების გატარებამ ვერ დაიცვა იმდროინდელი რომი დიქტატურისგან, მითუმეტეს დღეს ვინ იძლევა იმის გარანტიას, რომ ხელისუფლების სათავეში მყოფნი დიქტატურისკენ არ მიაქანებენ მსოფლიოს, მისი ყველაზე უფრო შენიღბული და ამაზრზენი ფორმებით?

აღნიშნულის გათვალისწინებით, ჩვენი აზრით ნებისმიერი მონოპოლიური, თუ მისი მსგავსი საბაზრო სტრუქტურების ბაზრებზე, უნდა მოვახდინოთ იმ პროცესების გააქტიურება, რომელიც პრაქტიკულად უკვე დანყებულია და სახელმწიფოთა მხრიდან ამ პროცესების ბოლომდე მიყვანას საჭიროებს. კერძოდ, არსებულ საბაზრო



სტრუქტურებში აუცილებელია დამფუძნებელთა ინსტიტუტის გაუქმება, ან უკეთეს შემთხვევაში, მისი მხოლოდ დეკორატიული, ან სიმბოლური სახით დატოვება. საკონტროლო პაკეტი არ უნდა გააჩნდეს რომელიმე ცალკე აღებულ პიროვნებას, და მისი ფორმირება რაიმე საკითხის გარშემო გაერთიანებით უნდა ხდებოდეს, რომელთა ჩამონათვალი კანონით იქნება განსაზღვრული.

ჩემი აზრით, ამ მიმართებით ყველაზე არსებითია, – დირექტორთა საბჭოს ნევრთა მესამედის ყოველწლიურად განახლდებადობის მოთხოვნა, რომელთა არჩევა მოხდება აქციონერთა მიერ „ერთი აქცია ერთი ხმის“ პრინციპით. საბჭო აირჩევს თავისი რიგებიდან თავჯდომარეს ყოველ სამ წელიწადში ერთხელ. ერთი და იგივე პირი თავჯდომარედ მხოლოდ ერთხელ აირჩევა.

რეფორმების ასეთი პრინციპებით გატარება ხელს შეუწყობს ეკონომიკური თავისუფლების შეზღუდვის ყველანაირი მცდელობის მაქსიმალურად თავიდან აცილებას, რაც, იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ საზოგადოების ეკონომიკური პროგრესის უტყუარი გარანტი იქნება.

რაც შეეხება ადამიანის მესამე უზენაეს უფლებას – **საკუთრების უფლებას**, ამაზე სხვა დროს უფრო დანვრილებით ვისაუბროთ.

და ბოლოს – მონოპოლისტური სტრუქტურების შესახებ. როგორც ეკონომიკური თეორიი-

დან არის ცნობილი, ხშირად მონოპოლიის გაჩენის მიზეზი იმაში მდგომარეობს, რომ მთავრობა ერთ რომელიმე კომპანიას აძლევს ექსკლუზიურ უფლებას გაყიდოს, ან აწარმოოს, ესა თუ ის საქონელი, თუ მომსახურება. ამის მიზეზი, ყველა სხვა მანკიერ მიზეზებთან ერთად, შესაძლოა ისიც იყოს, რომ იგი სასარგებლო იყოს საზოგადოებისთვისაც. ამის ერთ-ერთი მაგალითია პატენტებისა და საავტორო უფლებების შესაღებ მიღებული საკანონმდებლო ბაზა.

დღეისათვის სახელმწიფო მონოპოლიების არსებობით გამოწვეული საბაზრო ძალაუფლების შემცირებასთან დაკავშირებული პრობლემების გადაჭრას ქვემოთ ჩამოთვლილი მეთოდებიდან ერთ-ერთით ცდილობენ:

- ქმედებები, რომელიც მიმართულია იქეთ, რომ მონოპოლიზირებული დარგები უფრო კონკურენტულ დარგებად გადააქციონ;

- ქმედებები, რომელიც უზრუნველყოფენ მონოპოლიების ქცევის განმსაზღვრელი კანონების მიღებას;

- ქმედებები, რომლებიც მიმართულია კერძო მონოპოლიების საზოგადოებრივ საწარმოებად გადაქცევასთან;

- არაფერი მოიმოქმედონ, ანუ მონოპოლიების ქმედებებში ჩაურევლობის პრინციპის არჩევა.

ზემოთჩამოთვლილი სამი პოლიტიკა, რომე-

ლიც მონოპოლიების საბაზრო ძალაუფლების შემცირებისკენაა მიმართული, მათი ბევრი ნაკლოვანებების მიუხედავად, მაინც ძალზე სასარგებლო პოლიტიკაა მთლიანად საზოგადოებისთვის.

ამის საილუსტრაციოდ, რამდენიმე წლის უკან მსოფლიო მასმედიაში გავრცელებული მაგალითიც გამოდგება, რომელიც შეეხება სამი უდიდესი ლუდსახარში კომპანიის, – „ბავარია“, „ჰაინეკენი“ და „გროლშის,“ არაკეთილსინდისიერ კონკურენციას, რომელიც ანტიმონოპოლიური კანონმდებლობით იკრძალება. კერძოდ, გამოძიებით დადასტურდა, რომ 1996-1999 წწ. ამ კომპანიებმა პრაქტიკულად კარტელი შექმნეს, რადგანაც მათ არალეგალურად მოილაპარაკეს ფასების დანესებისა და პროდუქციის მიწოდების რაოდენობის შესახებ, რისთვისაც ევროკავშირის ანტიმონოპოლიური კანონმდებლობით მათ უზარმაზარი საჯარიმო სანქციები, – 274 მილიონი ევრო – დაეკისრათ.

ამისდა მიუხედავად, ბევრი საკმაოდ ცნობილი ეკონომისტი მიიჩნევს, რომ ამ პრობლემის გადაწყვეტის საუკეთესო გზა ისაა, როცა მთავრობა არ ცდილობს მონოპოლიური ფასდადების არაეფექტიანობის აღმოფხვრას. როგორც ისინი ამბობენ, რამდენადაც რეალური ეკონომიკური სისტემა განსხვავდება იდეალურისგან, ამდენად, განსხვავება, რომელიც ამის გამო არსებობს მათ

შორის რესურსების ეფექტიანად განაწილებაში და, რომელსაც თეორიაში „საბაზრო ჩავარდნას“ უწოდებენ, არაფერია იმ „პოლიტიკურ ჩავარდნასთან“ შედარებით, რომელიც რეალური პოლიტიკური სისტემისთვის დამახასიათებელი ეკონომიკური პოლიტიკის არასრულყოფილების შედეგია.

ასეთი შედარების მთელი მახვილგონივრულობის მიუხედავად ასეთ „არაფრის ქმნისკენ“ მოწოდების პოლიტიკას, ცხადია, ვერ დავეთანხმებით, თუმცა ისიც გასაგებია, რომ ასეთი პოლიტიკა ბევრისთვის მისაღებია და, უბრალოდ, ხელსაყრელიცაა.

ის, რომ ტრანსნაციონალური კომპანიები, საერთოდ მსოფლიო საზოგადოებისთვის, თავისი არსით, სიკეთის მომტანი ვერ იქნება, ამის მაგალითად, თუნდაც „ოპეკის“ ქვეყნები გამოდგება, რომლებიც კარტელის ჩამოყალიბების გზით, არა მხოლოდ მონოპოლიური ფასების დანესებას ახერხებენ ენერგომატარებლებზე, არამედ, უფრო მეტიც, ისინი ყველანაირად ეწინააღმდეგებიან ალტერნატიული ენერგომატარებლების გამოყენების მიმართულებით მიღებული კვლევის შედეგების დანერგვას; კიდევ უფრო უარესი, – ისინი უფრო ეკონომიური შიგანვის ძრავების დანერგვასაც კი ეწინააღმდეგებიან. არადა კაცობრიობა დგას ტრადიციული ენერგომატარებლების რესურსების გარდაუღლი ამონურვის საშიშროების

წინაშე. სულ რაღაც 20-30 წელი და შიგა წვის ძრავა ისტორიის კუთვნილება გახდება. ამის პარალელურად მიმდინარეობს პერიოდული რყევები ნავთობის მსოფლიო ფასებზე, რასაც წმინდა პოლიტიკური მოტივების გარდა ეკონომიკური მიზანიც გააჩნია, – პროვოცირება გაუწიოს აჟიოტაჟურ მოთხოვნას ნავთობზე და ამით ნოყიერი ნიადაგი შექმნან სპეკულაციური ფასწარმოქმნის მექანიზმების მთელი ძალით ამუშავებისთვის.

ერთი პერიოდი საქმე იქამდეც კი მივიდა, რომ ამერიკის დღეს უკვე ყოფილმა პრეზიდენტმა, ბ-ნ-მა **ჯორჯ ბუშმა** კანონპროექტის მომზადებაც კი დაავალა საჯარო სასაქონლო დანერგვის შესახებ იმ ნავთობკომპანიების მიმართ, რომლებიც, როგორც წესი, თითოეული გამოწვევის მიზეზების გამო, ნავთობის ფასს მკვეთრად ზრდიდნენ, ხოლო მის შემცირებას შემდგომ თვეები სჭირდებოდა, თანაც როგორც წესი, ნავთობის ფასი არასოდეს არ უბრუნდებოდა თავდაპირველ ნიშნულს.

სამწუხაროდ, ანალოგიურ პროცესებს მხოლოდ ნავთობის სფეროში არა აქვს ადგილი. პრაქტიკულად ყველგან, სადაც კი ბიზნესს შეუძლია, ხდება ფასების ვოლუნტარისტული ზრდა, – ფარულად თუ ღიად, ნებადართული, თუ აკრძალული ხერხებით. ამის კარგი მაგალითია საბანკო სფეროში კრედიტების გაცემის პრაქტიკა,

რომელიც განსაკუთრებით მახინჯ ფორმებს პოსტკომუნისტურ ქვეყნებში ლებულობს, რისი ყველაზე კარგი მაგალითიცაა რუსეთი, თავისი უზარმაზარი ეკონომიკური პოტენციალის გამო.

ბანკების მიერ სამომხმარებლო კრედიტებზე ოფიციალურად გამოცხადებული საპროცენტო განაკვეთის სიდიდე 25-30 პროცენტის ფარგლებშიც კი იყო, სინამდვილეში კი იგი ორ-სამჯერ აღემატებოდა იმ სიდიდეს, რასაც მომხმარებელი სესხის დაფარვისას იხდიდა. აქ ცალკე იხდება საბანკო მომსახურების თანხა, რომელიც ყოველთვიურად უნდა გადაიხადოს მომხმარებელმა, ცალკე საკომისიო და ა.შ., ანუ, პრაქტიკულად ხდება მომხმარებლის ეკონომიკური თავისუფლების შეზღუდვა, რომელიც საზიზღრობამდე დახვეწილი ფორმების მიუხედავად, თავისი არსით, მაინც მონათმფლობელური ურთიერთობებისათვის დამახასიათებელი პრინციპით მოქმედებს, – „მე ყველაფერი, – შენ არაფერი“.

მიუხედავად იმისა, რომ რიგმა ქვეყნებმა სპეციალური კანონიც კი მიიღეს, რომელიც საბანკო სფეროს ავალდებულებს გაცხადებული საპროცენტო განაკვეთის სიდიდე ემთხვეოდეს რეალურად გადახდილს, საბანკო სფეროს წარმომადგენლები ფარ-ხმალს არ ყრიან და, დარწმუნებული ვართ, რამეს მოიფიქრებენ, რათა აღნიშნული სიტუაციიდან „ღირსეულად“ გამოვიდნენ, თვით მსოფლიო

ფინანსური კრიზისის პროვოცირებამდე, რისი სამწუხარო მაგალითიც სულ უკანასკნელ პერიოდში მსოფლიოს ჰქონდა და, როგორც გაირკვა, აქ გადამწყვეტი სიტყვა საბანკო სფეროს წარმომადგენლებს ეკუთვნით.

ამგვარად, ეკონომიკური თავისუფლების ხელყოფა არა რომელიმე ერთი ქვეყნისთვის დამახასიათებელი პრობლემაა, არამედ, იგი მსოფლიო მასშტაბის მოვლენაა და, პრაქტიკულად უკლებლივ ყველა ქვეყანაში მიმდინარეობს .

გარდა იმისა, რომ ადამიანის ეკონომიკური თავისუფლების ხელყოფა, თავისთავად ანტისაზოგადოებრივი მოვლენაა და საზოგადოებამ მას დაუნდობელი ბრძოლა უნდა გამოუცხადოს, იგი სხვა მხრივაც საშიშია. ეკონომიკური თავისუფლების შეზღუდვა სიმდიდრისა და სიღარიბის უკიდურეს პოლარიზაციას იწვევს, რაც უცილობლად იწვევს ძალაუფლების უზურპაციას ამა ქვეყნის ძლიერთა მხრიდან. ამან კი შესაძლოა გამოუსწორებელ შედეგებამდე მიგვიყვანოს. გლობალურ დონეზე იგი აუცილებლად განდება საზოგადოების განვითარების დამაბრკოლებელი ფაქტორი, რისი თვალსაჩინო მაგალითიც ავადსახსენებელი 11 სექტემბრის მოვლენებია.

## სარჩევი

რედაქტორისგან -----	3
შესავალი -----	5
„სულისა“ და „სხეულის“ მიმართება -----	8
თავისუფლების ნებაყოფლობითი შეზღუდვის მიზეზები -----	26
პარალელური განზომილება -----	36
ეკონომიკური თავისუფლება -----	45